# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 16 ივლისი. 2016 წ. №132 (8024), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

**პეტრე მამრაძე:**

## სააკაშვილისგან განსხვავებით ივანიშვილს ნამდვილად არა აქვს განდიდების მანია



4

## ღმერთი რატომ არ გაიცინებს, ყარაღი ჭკუას რომ გვასწავლის!



2

## ათენში გატეხილი ნავსი



10



5

## ან უვიცობა, ან მიზანმიმართული ბოლმის ნთხევა

**გიორგი უძილაური:** 115 მილიონი დოლარის ღირებულების საკონცერტო დარბაზი „BLACK SEA ARENA“ ფონდმა „ქართუმ“ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ააშენეს

## 8 ოქტომბრის პოლიტიკური ტაროსის პროგნოზი



# გიგა ბოკერიას ჰებელსის დნმ აღმოაჩნდა...

ზოგს, ალბათ, გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ეგრეთ წოდებულ ვარდოსან საакაანთ ბიჭს, რომელსაც ნარ-ეკლის ჭერა უფრო ეიღბლებოდა, შემთხვევით ჰყავდა უშიშროების საბჭოს მდივნად ჭადრაკის დიდოსტატის მზეჭაბუკი, რომელმაც დედის სპორტული ჟინი პოლიტიკაში გადაიტანა, უბრალო მოკვდავ პაიკობას არ დასჯერდა და, ერთ-ერთი ყველაზე უნაზესი ყვავილის სამარცხვინოდ, ვარდების რევოლუციის სახელით მონათლული უფრო პოლიტიკური პროვოკაციის, ვიდრე რევოლუციის ვაიმესვეურთა მთავარ ბანაკში ამოყო ყოველმხრივ თუ მრავალმხრივ მზირალი თავი.

აი სწორედ ამ ყოველმხრივმზირალობამ თუ მრავალმხრივმზირალობამ განსაზღვრა სწორედ ამ ჩვენი ჭადრაკულად გაზრდილი ბოკერიას (დედით ალექსანდრიას) უშიშროების საბჭოს მდივნობაც. მოგეხსენებათ, ქვეყნის უშიშროების თუ უსაფრთხოების დაცვას მარტო ცალმხრივი მზერა არ ჰყოფნის. ის, ვისაც ქვეყნის უშიშროება და უსაფრთხოება აბარია, ერთდროულად ცაშიც უნდა იყურებოდეს და მიწაშიც, მარცხნივაც უნდა ხედავდეს, რა ხდება და მარჯვნივაც უნდა გაურბოდეს თვალი.

ერთი სიტყვით, ამ საქმისთვის ბოკერიაზე უკეთესი მზირის მოძებნა ნამდვილად შეუძლებელი იყო. დიახაც, ამ მრავალმხრივ მზირალობამ აპოვნინა ნეოფაშისტური ნაციონალების უშიშროების შეფს ვარდის შტოსავით ტანწერწეტა მეორე ნახევარიც, რომელმაც თავისი პირველი ნახევრის იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით უმალვე შავი ტაბულით დაიპყრო ეთერი და ქვეყანაში ადამიანურად სუნთქვის გამაძნელებელი გაბინძურებული ჰაერი დაატრიალა.

რაღა ბევრი გავაჭიანუროთ და ჩერგოლეიშვილ-ბოკერიას ტანდემი ამ წინასაარჩევნო დღეებში ქვეყნის დამაქცევარი ნეოფაშისტი ნაციონალების ერთ-ერთ მთავარ ძალად იქცა. ამათ მხოლოდ იმ სახელმწიფოს არსებობა სწადიათ, სადაც მხოლოდ თვითონ იქნებიან ყველაფრის ავანჩავანები, ამათ მხოლოდ იმ ქვეყნის შექმნა უნდათ, რომელსაც თავიანთ სათლელ დუმად აქცევენ, იმ ერთი წუწკი მელიასი არ იყოს, ამათ მხოლოდ იმ ქვეყნის შექმნა სურთ, რომელიც აშკარად ანტიქართული ტაბულის მაყურებლისა და მსმენელის თავგზის ამაბნეველი პროგრამის შემდეგ ესიზმრებათ.

დღეს ცხადზე უცხადესია, რომ ის გზა, რომელიც ამ საკუთარი პოლიტიკური სარგებლიანობის შავდროშააფრიალებულმა ნეოფაშისტმა ბოკერიამ თავისსავე თანატომელთან ერთად გამოიარა (და ჩვენდა საუბედუროდ, კიდევ განაგრძობს სვლას!) ჭეშმარიტად თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და ჭეშმარიტად დემოკრატიული საქართველოს ჭეშმარიტ სახელმწიფოებრივ წინსვლას აცდენილი გზაა, ასე ჯიუტად რომ ადგანან ვითომ სახეშეცვლილი, ოდესიდან მომაკვდინებლად შხამგადასხმული ნაციონალები.

არა, ბატონებო, ჭადრაკის დიდოსტატის შვილობა სულაც არ ნიშნავს, პოლიტიკაშიც დიდოსტატობას, რაც ბოლო თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე არაერთხელ ცხადყო მრავალმხრივ მზირალმა ბოკერიამ, რომელსაც, ალბათ, არც თავად დავიწყებია და არც ხალხს უგულმავიწყია, რომ როგორც უშიშროების საბჭოს მდივანს 24 მილიონი ამერიკული დოლარის გაფლანგვა ბრალდებოდა (რაც ხახვივით შერჩა). ამ დღეებში კი ნაციონალთაგან ჯვარცმულმა საქართველომ დიდი გულისწუხილითა და ცრემლით მიაბარა მიწას სწორედ უშუალოდ ბოკერიასგან წამებული 47 წლის ღირსეული ქართველი სულხან მოლაშვილი (ნუთუ ესეც ხახვივით უნდა შერჩეს?!)..

დანაშაული აშკარაა, საკადრისი სასჯელი კი ჯერ კიდევ არ ჩანს. სასჯელი კი არა, პირიქით, ცუდად გათავხედებული ბოკერია სულ ახალ და ახალ დემაგოგობისა და პროვოკაციების აბლაბუდებს ხლართავს. ამ საქმეში მართლაც დიდოსტატია. ჯერ მარტო კორცხელის პროვოკაცია რად ღირს!

ნაციონალთა ყოველგვარ ზღვარგადასული თავხედობისა და უტიფრობისგან შეღონებულ მოქალაქეთაგან ამ დღეებში ხშირად გაიგონებთ: ამ ფიურერ სააკაშვილის თავგადაკლულ უშუბლძარღვო ბოკერიას ძარღვებში ნამდვილად იმ სულაძაღლებული ჰებელსის დნმ უჩქეფს...

ხალხის დიაგნოზი კი ხშირად ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის პროფესორის მიერ დასმულ დიაგნოზზე ბევრად სწორია.

როგორც ჩანს, ბოკერიას შემთხვევაშიც, ალბათ, ასე უნდა იყოს...



## აჭარის მთავრობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს

**აჭარის უმაღლესმა საბჭომ 12 ხმით აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი, სახელმწიფო რწმუნებული აჭარაში, ზურაბ პატარაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია. კენჭისყრაში 9 დეპუტატმა არ მიიღო მონაწილეობა.**

## საგარეო საქმეთა მინისტრი ესტონელ დეპუტატებს შეხვდა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში — „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილე ესტონელ პარლამენტარებს შეხვდა.**

**კერძოდ შეხვედრა გამართა ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან კალლე პალლინგთან და ქეით პენტუს როსიმანუსსთან.**

შეხვედრაზე მაღალი შეფასება მიეცა ორ ქვეყანას შორის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებს და უპრეცედენტოდ ნაყოფიერ თანამშრომლობას თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის თავდაცვისა და კიბერუსაფრთხოების, განათლებისა და კულტურის, საგადასახადო სისტემის რეფორმების, სტრატეგიული კომუნიკაციების და სხვა მიმართულებებით.

ესტონელმა დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესი და კიდევ ერთხელ დაადასტურეს ესტონეთის მზადყოფნა, აქტიურად დაუჭიროს მხარი საქართველოს საერთაშორისო არენაზე ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

ესტონეთის პარლამენტი ერთ-ერთი პირველი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებს შორის, რომელმაც მოახდინა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება.

## ცესკო პოლიტიკურ პარტიებს „მძიმე“ საზრუნავს უჩენს

**ცესკოს ცნობით, 2016 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიების რეგისტრაციის პროცესი გრძელდება, რისთვისაც მათ შესაბამისი პროცედურები უნდა გაიარონ.**

**13 ივლისიდან საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პარტიების რეგისტრაციის პირობები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:**

პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში (საქართველოს საარჩევნო კოდექსი - მუხლი 113, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი), ცესკოს თავმჯდომარეს სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე, რის შემდეგაც მან უნდა წარმოადგინოს მხარდამჭერთა სიები.

კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, ცესკოს უნდა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 1000 ამომრჩევლის სია; ხოლო პარტიამ, რომელიც არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, უნდა წარმოადგინოს სულ ცოტა 25 000 ამომრჩევლის სია.

პარტია ვალდებულია მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები ცესკოს წარუდგინოს სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი.

პოლიტიკური პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს პარლამენტში ჰყავს წარმომადგენელი, ცესკოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართავს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა (12 აგვისტო).

ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა სურთ, მოუწოდებს, დროულად განახორციელონ აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად ყველა საჭირო პროცედურა.

**გთხოვთ, მათქმევინოთ!**

# ღმერთი რატომ არ გაიცინებს, ყაჩაღი ჭკუას რომ გვასწავლის!



**პატივცემულო რედაქცია!**

**უპირველესად, იმას გეტყვით, რამაც კალამი ამაღებინა. საქართველოს ყოფილი კულტურის მინისტრი ნიკა რურუა, რომელიც 2012 წლის შემოდგომის შემდეგ საკმაოდ ჩუმად იყო და თავისი თანამოძმე ნაცებისგან განსხვავებით, პოლიტიკურ ბატალიებში ცხვირს არ ჰყოფდა (ყოველ შემთხვევაში, მისი ხმა ნაკლებად ისმოდა), რაც გვაიმედებდა, რომ ამ ყოფილ მხედრიონელ ყაჩაღს ესმოდა, რომ თავისი შავბნელი წარსულის გამო სხვებივით „ბრძოლის წინა ხაზზე“ თავის გამოყოფა ნამდვილად არ ღირდა. მას ერთხელ გაუმართლა — „მხედრიონიდან“ ნაცებში უმტკივნეულოდ გადაბარგდა და ეს „ადგილმონაცვლეობა“, როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩა, როგორ და რანაირად არ ვიცი, მაგრამ კულტურის მინისტრობასაც მიაღწია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყველა წევრი შეიძლება მისი მსგავსი შავი წარსულის მქონეა... ცნობილია, ოკეანის გასაანალიზებლად მისი ერთი წვეთის შესწავლაც კმარა. სხვა რა უნდა იფიქრო, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს შარაგზის ყაჩაღი ასე გულდაგულ გამოარჩია და ასეთი მაღალი თანამდებობა ანდო!**

**მაგრამ აი მოახლოვდა არჩევნები და ნიკა რურუამ რატომღაც ენა ამოიდგა. თანაც ასე მწარედ: ბიძინა ივანიშვილს და მის თანამებრძოლებს უკადრებელს აბრალებს, რაც მისი წარსულის მქონე კაცისგან ნამდვილად არ ეგების.**

**მე მიზეზი გითხარით, რამაც ეს წერილი დამაწერინა, ახლა უშუალოდ იმაზე, თუ რატომ ვუწოდებ ნიკა რურუას მხედრიონელსა და ყაჩაღს.**

აქ პატარა განმარტება უნდა გავაკეთო. მხედრიონელი ბევრი იყო, მაგრამ ყველა ყაჩაღი და ბანდიტი არ ყოფილა. ის კი არა, ბევრი მათგანი გმირულად დაეცა აფხაზეთში! აი, ნიკა რურუა და მისი ძმა ჟორიკა რურუა კი ნამდვილად ყაჩაღები იყვნენ.

ამას უბრალოდ არ ვამბობ. მაგალითს მოვიყვან.

იყო ერთი პოლიციის სისტემაში კაი „პურის საჭმელ“ თანამდებობაზე მომუშავე ჩინოვნიკი თორნიკე ა. მხედრიონელებმა („მხედრიონი“ მაშინ უკვე სახელმწიფო სტრუქტურაში შედიოდა „მაშველთა კორპუსის“ სახით) თვალი დაადგეს, ეს კაცი ფულს აკეთებს, „მხედრიონს“ კი არაფერს აძლევსო. მოახსენეს ჯაბა იოსელიანს, ასეა საქმეო. აქ მომგვარეთო. მიჰგვარეს (ჯაბას ოფისი ყოფილი „იმელის“ შენობაში იმყოფებოდა, მთავრობის მეთაურის ედუარდ შევარდნაძის აპარტამენტის სართულით ქვევით). ერთი-ორი უთაქეს, მაგრამ თორნიკე ასე უმალ არ გატყდა და ფულის მოტანის სურვილი არ გამოთქვა. მაშინ ჯაბამ ბრძანა, აქედან მოაშორეთ, სადმე საიმედო ადგილას წაიყვანეთ და დაამუშავეთო. უბედური ტყვე ტყეში აიყვანეს, თუ არ ვცდები კუს ტბის მიდამოებში. და დაიწყო იარაღის გამოყენებით ფსიქოლოგიური დამუშავება, ფიზიკური წამება... ერთი სიტყვით, კაცი სიკვდილს ჩაახედეს თვალებში.

ბოლოს თორნიკემ ამოიგმინა, გამიშვით და ფულს მოვიტანო. შეთანხმდნენ, მაგრამ, როცა დათქმული დრო მოვიდა, თორნიკე გაქრა. მთელი „მხედრიონი“ ფეხზე დადგა, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ამასობაში სწორედ ისე მოხდა, როგორც ზღაპარშია: ტერორისტები სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს თავს დაესხნენ. კვალი „მხედრიონამდე“ მივიდა. ჯაბა დააპატიმრეს, „მხედრიონი“ დაშალეს და თორნიკეც გადარჩა!

მკითხველი იკითხავს, ყველაფერი კარგი, მაგრამ ნიკა რურუა რა შუაშიაო. შუაში კი არა, თავშია! სწორედ ნიკა და მისი ძმა ჟორიკა იყვნენ ის მხედრიონელები, ვინც თორნიკეს თვალი დაადგეს, ჯაბასთან აიყვანეს „იმელში“, შემდეგ კი ტყეში „გახიზნეს“ და აწამეს. მერე კი გავეშებული დაეძებდნენ მიმალულს...

ჟორიკა რურუა მაშინ რომ მოტყდა საქართველოდან, დღემდე არ დაბრუნებულა. აი მისი ძმა კი უფრო იღბლიანი და მოქნილი გამოდგა. ნაციონალებს მიეკედლა და აღზევდა...

აი ეს კაცი გახლავთ ნიკა რურუა, რომელიც დღეს გადმომდგარა და მორალს გვიკითხავს.

ამის უფლება კი არა აქვს!

არა აქვს არც ერთი განზომილებით. მაგრამ ნაცების მორალური კრედო ამას არ დაგიდევს... ჰოდა, ყოფილი შარაგზის ყაჩაღი, ყოფილი მინისტრი და ნაცური ხელისუფლების ყოფილი სახე ნიკა რურუა ბედავს და ქილიკობს, ვიღაცას ჭკუას ასწავლის, ვიღაცას კილავს, რაღაცის პროგნოზს აკეთებს. რატომღაც ფიქრობს, რომ ხალხს ყველაფერი დაავიწყდა და ახლა კვლავ მისი დრო მოდის.

ეს არ არის უბრალო, ყურადღება არმისაქცევი მოვლენა, ეს ტრაგედიაა!

**პატივისცემით**
**იაკობ ხუციშვილი**

# „აჯანყების უფლებიდან“ პლუტოკრატიულ ტირანიამდე!

მართალია, პირველი **„სახალხო-დემოკრატიული აჯანყების“** შემდგომი სრული ჩამობნელებისგან განსხვავებით, **„ვარდების რევოლუციამ“** თბილისი **„სინათლის ქალაქად“** აქცია, მაგრამ სამართლებრივი კულტურის თვალსაზრისით, რომ ქვეყანაში სრულმა წყვდიადმა დაისადგურა, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული მოვლენებიც ადასტურებს.

**მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ მრავალმილიონიანი ვალები აპატია და გაკოტრებას გადაარჩინა, „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიამ ეფექტურად გააგრძელა საზოგადოების დეზინფორმირება.**

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის მესაკუთრეებს შორის დავა **სააკაშვილის** მიერ გამწესებულმა მოსამართლეებმა განიხილეს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იურისტმა (ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა) **ნიკა გვარამიამ** ჟურნალისტების თანდასწრებით ტელეეთერით გააცნო მოქალაქეებს ამონარიდი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან და ხელისუფლებას „აჯანყების უფლების“ გამოყენებით დაემუქრა!..

სხვათა შორის, ქართველი იურისტებიდან პირველმა, 1991 წლის დეკემბრის **„სახალხო-დემოკრატიული აჯანყება-რევოლუციის“** სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, ბატონმა **ვიქტორ შარაშენიძემ** მოიშველია. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დღეებშიც პოლიტიკაში აქტიურად ჩართული ზოგიერთი „ახალგაზრდა იურისტი“ საკმაოდ აქტიურად ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალის გამოყენებით შეჭრა **„აჯანყების უფლებით“** გაემართლებინა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებშიც **კობა დავითაშვილმა** ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ **„საერთო-სახალხო აჯანყება არ არის სახელმწიფო გადატრიალება. ეს არ არის შეთქმულება და დანაშაული. ეს, საერთოდ, უკანონო ქმედება არ არის. იგივე გოკა გაბაშვილმა და გივი თარგამაძემაც კი საჯაროდ დაადასტურეს, რომ ხალხს აქვს აჯანყების უფლება, იმიტომ, რომ ეს არის ადამიანის დაბადებითი უფლება, რომელიც ასახულია ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრეამბულის მესამე აბზაცში, სადაც პირდაპირ წერია, რომ ხელისუფლებამ არ უნდა აიძულოს ხალხი, ისარგებლოს აჯანყების უფლებით, ანუ ხალხს აქვს აჯანყების უფლება!“**.

ამასთან, **ინგა გრიგოლიას** პოპულარულ პოლიტიკურ „შოუშიც“, ფაქტობრივად, იგივე გაიმეორა და, ალბათ, უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის გაეროს დეკლარაციასთან ერთად საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლიც მოიშველია.

ვინაიდან, კარსმომდგარი მორიგი საპარლამენტო არჩევნების წინ „რუსთავი-2“ საზოგადოებაში კვლავ რევოლუციურ განწყობას ამკვიდრებს და სტაჟიანი მეამბოხეებიც მორიგ **„სახალხო აჯანყებაზე“** ალაპარაკდნენ, თავი ვალდებულად ჩავთვალე უკვე არაერთგზის მოტყუებული **„გამარჯვებული ხალხისთვის“**, კიდევ ერთხელ შეძლებისდაგვარად ამეხსნა „აჯანყების უფლებასთან“ დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები.

...ყოფილი თანაგუნდელების სახელისუფლო სავარძლებში „რევოლუციური“ (თუნდაც, „ხავერდოვანი“...) ჩანაცვლებისთვის, რბილად რომ ვთქვა, არაკორექტულია კონსტიტუციური ნორმების გამოყენება. მით უმეტეს, იურისტების მხრიდან. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას უპირატეს ძალას ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას... ამასთან, ცხადია, სანამ სამართლის ნორმას გამოიყენებ, ჯერ მისი შინააარსი უნდა გაიაზრო სათანადოდ.

იხ. 4 გვ.

# როგორ ვაქციოთ ბუზი სპილოდ

ᲗᲣ საქართველოს ამჟამინდელ სიტუაციას შეხედავ, უმალ ძნელად რომ გაიგო: ვის ვინ მოჰყავს და ვინ ვის მიერეკება. თუმცა, შეიძლება, ეს ასეც უნდა იყოს. პოლიტიკური ცხოვრების საიდუმლოება ხომ იმიტომ არის საიდუმლოება! და ყველა მოკვდავს როდი შეუძლია პირველივე შეხედვით ამოიცნოს ისინი. ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩთან არჩილ გეგეშიძესთან დაკავშირებული დღევანდელი სიტუაციაც – მაგალითია ამისა. თუმცა, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ის, რომ ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაზეპირებული ფორმულირებებით მუდმივად ადანაშაულებს დღევანდელ ხელისუფლებას ყველა უბედურებაში, – ეს უცილობელი და ყოველდღიურიც კი – ფაქტია. თანაც ბრალდებისათვის საბაბის ძიებაც არაა საჭირო. თუ ცოტათი მაინც რაღაც სხვაგვარად მოხდა – დამნაშავე მთავრობაა. და ეს სწორია, ვინაიდან მთავრობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, პასუხისმგებელია ყველაფრისთვის. აი, ვთქვათ, გამოდის დილით გლეხი სახლიდან, გახედავს ცას და ამბობს: „ეჰ, ისევ წვიმას აპირებს – რამდენად უმაქნისია ჩვენი მთავრობა!“ და ეს უკვე აღარაა ანეკდოტი, როგორც ადრე მიაჩნდათ, არამედ ესაა სიმართლე, ვინაიდან ბევრ მთავრობას დღეს აქვს შესაძლებლობა, თავიდან აცილოს, მაგალითად, სოფლის მოსახლეობას სეტყვა. ესროლა ზარბაზნიდან პირქუშ ღრუბელს – და სეტყვაც თავიდანაა აცილებული. თუ ეს დროზე არ გააკეთე – კრიტიკასაც ვერ აუვლი გვერდს.

მაგრამ ქართული ოპოზიციის ურყევი სვლა, ეს ხომ ისაა, რომ ბრალი დასდო მთავრობას პრორუსულ ორიენტაციაში, ქედის მოხრაში კრემლის ახირების წინაშე. აი სადაა სრული თავისუფლება.

დავუშვათ, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე აწარმოებს მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ საქართველოსთვის რუსული გაზის დამატებით მიწოდების შესახებ – და გაისმის ყვირილი მსოფლიოს გასაგონად: „გვიშველეთ! კალაძე რაღაცაში უთმობს რუსეთს!“

უმრავლესობის დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ეჭვი გამოთქვა იმის შესახებ, რომ ნატო მზადაა, მიიღოს საქართველო თავის რიგებში – რეაქცია ზუსტად ისეთნაირივეა: მეჭიაური პრორუსულ პოლიტიკას ახორციელებს.

მეორე პარლამენტარი გოგი თოფაძე ამბობს, რომ სურს, თავის კაბინეტში ჩამოკიდოს სტალინის პორტრეტი. თითქოსდა, რა არის აქ უცნაური? სურს და – ჩამოკიდოს! მაგრამ აქ გაისმის იგივე სიმღერა: „უყურე, სტალინი უნდა?! ცხადია, კრემლის განკარგულება მიიღო!“

ან ბიძინა ივანიშვილი... სანამ ეს კაცი ზის წყნარად თავის სასახლეში – ის „უბრალო“ ოლიგარქია. მაგრამ საკმარისია, ის შეირხეს, რომ „უბრალოდან“ უმალვე რუს ოლიგარქად იქცევა. და, რასაკვირველია, ქვეყნის არაფორმალურ მმართველად, რომელიც, თურმე, საქართველოში ყველაფერს მარტო წყვეტს. და როგორი არაფორმალური მმართველია იგი, თუ ისიც ვერ შეძლო – გამოესახლებინა პრეზიდენტის სასახლიდან ადამიანი, რომელიც თავად მან ჩასვა ამ სავარძელში?! მხოლოდ იმას აკეთებს – გამოთქვას უკმაყოფილება, გააკრიტიკოს ან მსუბუქად დატუქსოს თავისი მაღალი რანგის პროტეჟე დაპირების შეუსრულებლობის გამო.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ 8 ოქტომბერს პარლამენტის მომავალ არჩევნებზე გამარჯვება ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა და საქართველოში დაბრუნდა მიხეილ სააკაშვილი – კიდევ ერთი არაადეკვატური პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს საქართველოს არაფორმალური (ჯერჯერობით არაფორმალური) მმართველის როლის პრეტენზია. ორი შეკითხვა მაქვს: დიდხანს იჯდება პრეზიდენტის სასახლის ამჟამინდელი პატრონი თავის სავარძელში? და სხეულის რომელი ნაწილით გამოათრევენ მას იქიდან თანამოძმე დემოკრატები ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან?

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ არჩილ გეგეშიძეს.

ბუნებრივია, ეს ბრალდებები, ხმაური, მითქმა-მოთქმა გაისმის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მოედინება პარალელებისა და მერიდიანების გამოვლით – ოკეანის გაღმიდანაც. და აი, შედეგიც: ვაშინგტონში საქართველოს ელჩთან მიდის ჟურნალისტი და ეკითხება მას პრორუსი ძალების შესახებ, საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურების შესახებ: რას ფიქრობს ის ამასთან დაკავშირებით.

როგორ უნდა უპასუხოს გეგეშიძის დონის დიპლომატმა? ალბათ, ისე, როგორც უპასუხა: თუ ასეთი ძალები არსებობს საქართველოში სახელისუფლო სტრუქტურებში, ეს მოწმობს ჩვენი საზოგადოების პლურალიზმზე. „თუმცა გავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე ეს ადამიანები არ ახდენენ“, – დაუმატა გეგეშიძემ.

მაგრამ რა მოხდა?..



**არჩილ გეგეშიძე არ დაუშვეს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, თუმცა, როგორც ობიექტური ექსპერტები ამბობენ, ამ ვიზიტის მომზადებაში ის ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა. გაუგონარი შემთხვევაა!**

თუმცა სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, მინდა, გავიხსენო ერთი ისტორია, რომელიც ასევე დაკავშირებულია საქართველოს დიპლომატიურ უწყებასთან. მისი დასაწყისი განეკუთვნება იმ დროს, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს გამოჩენილი დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე იყო. ერთხელ მინისტრთან მივიდა ახალგაზრდა კაცი და განაცხადა, რომ დაამთავრა საზღვარგარეთის დიპლომატიის უმაღლესი სასწავლებელი და უნდა თავისი სამსახურებრივი კარიერა დაიწყოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მინისტრმა ვიზიტიორს საკმაოდ კრიტიკულად შეხედა: გარეგნულად მიმზიდველია, შემტევია, იცის რამდენიმე ენა: „რატომაც არა?!“ – გაიფიქრა მინისტრმა. „შემიძლია მიგიღოთ დეპარტამენტის თანამშრომლად“... აპირებდა ამის თქმას ჩიკვაიძე, მაგრამ სტუმარმა უმალვე გააწყვეტინა: „მინდა, ვიმუშაო არა უბრალო თანამშრომლად, არამედ დეპარტამენტის ხელმძღვანელად“! აქ უკვე მინისტრმა ხელები გაშალა და მან, ბუნებრივია, ვიზიტიორს კარისაკენ მიუთითა...

მრავალი წლის შემდეგ, ეს ისტორია უკვე არა საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფმა, არამედ ათენში საქართველოს ელჩმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიამბო. იმ დროისთვის ახალგაზრდა კაცი, ვინც მასთან მივიდა, აფრინდა მაღლა: გახდა პარლამენტარი, სათავეში ჩაუდგა მმართველი პარტიის ფრაქციას და, რასაკვირველია, ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას – რაც შეიძლება მწარედ „დაეგესლა“ თავისი ძველი „კოლეგა!“ ასეთი შესაძლებლობა მალე მიეცა. ერთ-ერთ თავის ინტერვიუში პატარა ბერძნულ ჟურნალთან ალექსანდრე ჩიკვაიძემ უდიერად მოიხსენია საქართველოს მაშინდელი ეკონომიკური პოტენციალი. თითქოსდა, არაფერია გასაკვირი – საკითხი ხომ 1990-იან წლებს შეეხებოდა, მაგრამ... ამის შესახებ უმალვე გახდა ცნობილი პარლამენტში. „როგორ შეუძლია საქართველოს წარმომადგენელს გააკეთოს ასეთი განცხადებები! ის სასწრაფოდ უნდა გაათავისუფლონ ელჩის თანამდებობიდან!“ – ვერ წყნარდებოდა მიხეილ სააკაშვილი – ის ახალგაზრდა კაცი, ვისაც ოდესღაც სამინისტროში ჩიკვაიძესთან უნდოდა მუშაობა.

მახსოვს, მაშინ მომიწია, დამეწერა საფუძვლიანი მასალა ალექსანდრე ჩიკვაიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ საბერძნეთში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთებში „ვეჩერნი ტბილისი“ და „საქართველოს რესპუბლიკა“. ელჩის დაცვა მაშინ მოხერხდა. და აი, ახლაც დაახლოებით იგივე სურათია ელჩ არჩილ გეგეშიძესთან დაკავშირებით. იქნებ, მანაც ვიღაცას გადაუჭრა გზა?

პირველი, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გამოეხმაურა, ვინაც გეგეშიძის სიტყვებს „არაკვალიფიციური ელჩის არაკომპეტენტური განცხადება“ უწოდა. არ გინდა ამის მოფიქრება?! თავად მარგველაშვილი ერთ-ერთ თავის ადრეულ ფილოსოფიურ ოპუსში, 2001 წლით რომ იყო დათარიღებული, ამტკიცებდა, რომ ყველა მის თანამემამულეს, ე. ი. ქართველს აწუხებს „დებილიზმის მსუბუქი ფორმა“. და არაფერი! – არანაირი ორგანიზაციული დასკვნა ასეთ უცნაურ დიაგნოზთან დაკავშირებით, მთელ ხალხს რომ დაუსვა, არ გაკეთებულა. აქ კი – ეგეც შენ: არ არის კვალიფიცირებული, არ არის კომპეტენტური!

როგორ უნდა მოქცეულიყო საქართველოს დიპლომატიური უწყება ამ კონკრეტულ სიტუაციაში? ალბათ, საჭირო იყო, დამდგარიყო ელჩის მხარეზე, დაეცვა იგი. მაგრამ იქ სხვაგვარად გადაწყვიტეს: აქციეს ბუზი სპილოდ!

**და წავიდა და წავიდა!**

საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე არ დაუშვეს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, თუმცა, როგორც ობიექტური ექსპერტები ამბობენ, ამ ვიზიტის მომზადებაში ის ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა. **გაუგონარი შემთხვევაა!**

წავიდა ხმები. ტელეკომპანიამ GDS საკუთარ წყაროზე მითითებით განაცხადა, რომ არჩილ გეგეშიძეს შეუძლია გადადგეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ელჩის განცხადებას უწოდა მიუღებელი როგორც მისთვის, ისე საქართველოს მთავრობის სხვა წევრებისთვისაც.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა იმის შესახებ, რომ „დამნაშავესთან“ დაკავშირებით შეიძლება დადგეს მისი გადადგომის საკითხი.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა უმალვე თქვა, რომ უხარია არჩილ გეგეშიძის გამოძახება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. „არა მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ელჩმა უნდა გააკეთოს ამგვარი განცხადებები“, – დაუმატა მინისტრმა. თითქოს არც თავად ქალბატონი ხიდაშელი და არც მისი თანაპარტიელი რესპუბლიკელები უკანასკნელი თვეების განმავლობაში თავიანთ ამასწინანდელ თანამებრძოლებს კოალიციიდან „ქართული ოცნება“ – პარლამენტარებს გოგი თოფაძესა და თამაზ მეჭიაურს – არ უწოდებდნენ საქართველოში პრორუსული ძალების ფეხის ხმას აყოლილებს? გამოდის, რომ ხიდაშელსა და კომპანიას შეუძლიათ ილაპარაკონ ამის შესახებ ყველას გასაგონად, ელჩს კი არა და არა! უცნაურია, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

„ქაოსისა და უწესრიგობის პირობებში, საქართველოში რომ დამკვიდრებულა, მე არ მაკვირვებს არც გეგეშიძის განცხადებები, არც მოქმედებები, რაც ამ განცხადებებს შეიძლება მოჰყვეს, – ამბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და სწორია კიდეც! რა უნდა გიკვირდეს აქ, თუ ბევრი მოვლენა ქვეყანაში ხდება იმ სცენარების მიხედვით, რომლებიც თავად „ნაციონალების“ მიერაა დაწერილი.

და აი, გაისმის დღეს რეფრენად სიტყვები: „ვინ რითი მიდის და ვინ ვის ერეკება დღევანდელ საქართველოში?“ და ეს შეკითხვა, როგორც ვხედავთ, სულაც არაა ფუჭი და უაზრო...



**ვადიმ ანასტასიადი**



## ილია მეორე ფრანსუა ოლანდს უსამძიმრებს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მეორე** საფრანგეთის პრეზიდენტს სამძიმრის წერილს უგზავნის.

**„მის აღმატებულებას**
**საფრანგეთის პრეზიდენტს,**
**ბატონ ფრანსუა ოლანდს**
**თქვენო აღმატებულებავ,**

**მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ნიცაში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და სხვა მრავალი დააზიანა.**

**სამწუხაროა, რომ დღეს მსოფლიო გახდა დაუცველი და მსგავსი საშიშროება ყველა ქვეყნის წინაშე დგას.**

**აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის და გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახებსა და ახლობლებს“,** – ნათქვამია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის წერილში.

## საქართველოს საგარეო უწყება საფრანგეთის საელჩოში მოქმედი ცხელი ხაზის შესახებ იტყობინება

**საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოში მოქმედებს ცხელი ხაზი: +33 7 83 31 86 89. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საფრანგეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ხალხმრავალ ადგილებში გადაადგილებისაგან და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდნენ საქართველოს საელჩოს ცხელ ხაზს.**

**ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 09:00-დან 18:00 საათამდე – (+995 32) 294 50 50; 24 საათის განმავლობაში – (+995) 577 98 40 20;**



ამ ეტაპზე ფრანგული მხარე დაღუპულთა და დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეების არსებობას არ ადასტურებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულზე – „ბასტილიის აღების დღეს“, ქალაქ ნიცაში მშვიდობიან მოსახლეობაზე მომხდარ თავდასხმას, რომელსაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამის შესახებ ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს, თავდასხმის შედეგად დაშავებულებს კი უსურვებს სწრაფ გამოჯანმრთელებას.

**„შეძრწუნებულნი ვართ განხორციელებული ბარბაროსული თავდასხმის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო და ამ უმძიმეს წუთებში, სოლიდარობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ ფრანგ ხალხსა და ხელისუფლებას.**

**საქართველო მკაცრად გმობს მომხდარ ფაქტს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თავდასხმა წარმოადგენს სასტიკ გლობალურ დანაშაულს და მიმართულია მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ“,** – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# პეტრე მამრაძე: სააკაშვილისგან განსხვავებით ივანიშვილს ნამდვილად არა აქვს განდიდების მანია




## „ოცნების ახალი სახეები“ საზოგადოებას არ აღიზიანებენ

*მართვის სტრატეგიული ცენტრის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე ამ ეტაპზე პოლიტიკურ გააქტიურებას არ გეგმავს, არც შეთავაზება ჰქონია პარტიებიდან. რაც შეეხება მაჟორიტარად დამოუკიდებლად გასვლას თუნდაც ვაკის რაიონში, მისი თქმით, ამის ფინანსური რესურსი მას არა აქვს. კითხვაზე, რას ფიქრობს ის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორზე, ერევა თუ არა პოლიტიკაში და რა დოზით? ექსპერტის პასუხი ასეთია: თვითონ ამცირებს პოლიტიკოსებზე თავის გავლენას, როგორც შეუძლია. ყველაფრის საქმის კურსშია, მაგრამ თავს იკავებს. როგორც კი იგრძნობს, რომ მისი საჯარო სივრცეში გამოჩენა საქმეს სჭირდება, ამას დაუყოვნებლივ აკეთებს. ზოგადად, საინტერესო ვითარებაა, თითქოს პატრონ-კლიენტური სისტემა, პატრონის აზრს ქვეშევრდომები ითვალისწინებენ, მაგრამ პატრონი მათ აკავებს... სააკაშვილისგან განსხვავებით, ივანიშვილს ნამდვილად არა აქვს განდიდების მანია...*

**— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ „ახალ სახეებს“. მოახდენენ თუ არა ისინი გავლენას საზოგადოების განწყობაზე მმართველი ძალის სასარგებლოდ?**

— ყველა მათგანს დადებითად შევაფასებ. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, შეარჩიოს ადამიანები მორჩილების ნიშნით. ამავე დროს ეძებენ ისეთ მეტ-ნაკლებად ცნობილ სახეებს, რომ არ იყოს რთული, აუხსნან საზოგადოებას, რატომ შეარჩიეს ეს ადამიანები. კარგია, რომ ეს სახეები არიან პოლიტიკური წარსულით არადატვირთული, დაუზიანებელი ადამიანები, რადგან მოსახლეობაში საკმაოდ ძლიერია სკეპტიციზმი, ეჭვები პოლიტიკოსების მიმართ. მაგალითად, ძალიან გამიხარდა ამ სახეებში აკაკი ზოიძის ხილვა, რომელიც არის ჯანდაცვის სფეროში ექსპერტი, კარგი მენეჯერი. თვითონ კვირიკაშვილიც არის ძალიან კარგი პროფესიონალი, პიროვნება, რომელმაც ეს გუნდი შეარჩია. რაც არ უნდა ითქვას, დღეს „ოცნება“ რჩება პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად. დასანანია, რომ ვიღაც-ვიღაცებმა შეძლეს კოალიციის შიგნით გაეფლანგათ ის ძალიან დიდი პოლიტიკური კაპიტალი, რასაც 2012 წელს მოუყარა თავი ბიძინა ივანიშვილმა. მაშინ ადამ მიხნიკმა ასეთი რამ თქვა: ივანიშვილს აქვს ის საერთო-სახალხო მხარდაჭერა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მილიარდებით ვერ იყიდიო. სამწუხაროდ, დღეს სკეპტიციზმია...

**— და შეძლებენ კი ეს ახალი სახეები ამ რესურსის აღდგენას?**

— ახალი სახეები იმას მაინც შეძლებენ, რომ არ გააღიზიანებენ მოსახლეობას, რაც უკვე დადებითი ფაქტორია. ისევე, როგორც მოქმედი პრემიერი, რომელსაც ისე უჭირავს თავი, რომ არასოდეს აღიზიანებს საზოგადოებას. მეორე მხარეს არის აბსოლუტური ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი, რომელიც დღეს ხელისუფლების ხელშია. თუმცა, 2012 წელს სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის რეჟიმს ვერც ამან უშველა. დღეს ასეთი რამ, საბედნიეროდ, არ ხდება.

**— ბატონო პეტრე, ჯერ არ არის ცნობილი სრულყოფილად „ოცნების“ სია, მაგრამ იქ, სავარაუდოდ, ამ თხუთმეტი „ახალი სახის“ გარდა, კვლავ ძველი სახეები აღმოჩნდებიან?**

— მეც ეჭვი მაქვს, რომ ძირითადად ისევ ძველი სახეები იქნებიან, მაგრამ, ჩვენთან ნაკლებად აქცევენ ყურადღებას პარტიების სრულ საარჩევნო სიას, პროგრამას და ა. შ. მითუმეტეს, რომ ადმინისტრაციულ-ფინანსური რესურსიც მუშაობს. ჩემი აზრით, სულ არ არის გამორიცხული, „ქართულმა ოცნებამ“ მოაგროვოს 80-85 პარლამენტარის ადგილი და უმრავლესობით შევიდეს საკანონმდებლო ორგანოში.

**— რა შანსები აქვთ სხვა ოპოზიციურ პარტიებს?**

— თუკი ყველა სერიოზულ გამოკვლევას შევაჯამებთ და სრულყოფილად გავაანალიზებთ, თითქმის გარანტირებულად შეუძლია საარჩევნო ბარიერის გადალახვა ნაციონალურ მოძრაობას, რასაც სხვა ვერც ერთ პარტიაზე ვერ ვიტყვით. ისინი ზღვართან თამაშობენ, ამიტომ რთულია პროგნოზის გაკეთება. მაგალითად, დიდი შანსი ჰქონდა „პატრიოტთა ალიანსს“, მაგრამ ამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, გაერთიანების შემდეგ მისი რეიტინგი ქვევით იწევს. მაგრამ აქვს კი ამ ყველაფერს მნიშვნელობა საქართველოს განვითარებისთვის და რა შეიცვლება? ეს არის ჩემთვის მთავარი კითხვა. თუნდაც ის, რომ ჩვენი საგარეო თუ შიდა ვალების გასტუმრებას 24 მილიარდი ლარი სჭირდება. ვინ შეძლებს ამის გასტუმრებას და როგორ? კვირიკაშვილს ეს ყველაფერი კარგად ესმის, მაგრამ შეძლებს კი დაძრას ეს პროცესი? ეჭვი მეპარება. თუმცა, იმედი ყოველთვის არის.

**— ბატონო პეტრე, „ოცნების“ წარდგენილი ახალი კადრებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყნის დასავლურ კურსს, სავარაუდოდ, საფრთხე არ ემუქრება. ამ კონტექსტში მინდა განიხილოთ ვარშავის სამიტი. რა მოგვცა ამ სამიტმა და თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?**

— ვარშავის სამიტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი გადაწყვეტილებების მიმღები სამიტი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ასეთი სიძლიერის და მობილიზაციის სამიტი ჯერ არ ყოფილა. თუ უელსის სამიტზე გახმიანდა, რომ მხოლოდ წევრები უნდა დაეცვათ, ახლა პუტინმა და მისმა ჩეკისტურმა რეჟიმმა იმდენი ქნა, რომ ეს ორგანიზაცია გააცოცხლა და მას ახალი ენერგია შთაბერა. თუნდაც სიმბოლურად მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ნატოს ოთხი ბატალიონი უნდა განთავსდეს ბალტიისპირეთსა და პოლონეთში, უკვე ბევრისმეტყველია. პუტინმა პეტერბურგში ტყუილად კი არ აღიარა, რომ აშშ არის ერთადერთი ზესახელმწიფო და ჩვენ ამას ვაღიარებთო...

მტკიცე ნება, რომელსაც კონკრეტული ქმედებები მოჰყვება, გამოვლინდა ვარშავის სამიტზე. იქ გარკვევით ითქვა, რომ მხარი უნდა დაუჭირონ არათუ წევრ ქვეყნებს, არამედ ნატოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრების სახელმწიფოებს, სადაც საქართველოც შედის. ესაა მთავარი, თორემ ის, რომ მაპს არ მოგვცემდნენ, ან, ჯერჯერობით, საერთოდ არ დგას ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხი, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. სამაგიეროდ, რაც შეეხება თანამშრომლობას, ქმედით დახმარებას და თანადგომას, ეს რეალურია. ამ ეტაპზე რუსეთის მთავრობა ამას ნამდვილად გაუწევს ანგარიშს. თუ ჩვენი მთავრობა რუსეთს რაიმე კონკრეტულ საბაბს არ მისცემს და არ გააღიზიანებს (ამ კუთხით ჩვენს მთავრობასთან კრიტიკა არცა მაქვს), არაფერი ცუდი არ მოხდება...

**— და მაინც, ხომ შეიძლებოდა ამ ეტაპზე თუნდაც მაპის მოცემა?**

— წლის დასაწყისში ამერიკის ელჩმა იან კელიმ გარკვევით აღნიშნა, რომ ამერიკა უფრთხილდება საქართველოს, ჩვენ არ გვინდა განმეორდეს ის, რაც მოხდა 2008 წელს, როცა ბუქარესტის სამიტზე გახმიანდა, რომ საქართველო დღე-დღეზე შემოდის ნატოში, რასაც მოჰყვა კიდეც აგვისტოში რუსეთის აგრესიაო. ამის დაშვება არ უნდა არც ამერიკის შეერთებულ შტატებს და არც დასავლეთს. მით უმეტეს, ეს არ გვაძლევს ხელს ჩვენ!

**— გმადლობთ ინტერვიუსთვის.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

---

# „აჯანყების უფლებიდან“ პლუტოკრატიულ ტირანიამდე!

**(მეორე გვერდიდან)** მითუმეტეს, საერთაშორისო სამართალში მართლაც რომ არსებობდეს „აჯანყების უფლება“, სანამ შენი ქვეყნის კონსტიტუციის მეექვსე მუხლამდე მიხვალ, წინა დებულებებსაც ხომ უნდა გადაავლო თვალი. საქართველოს „უზენაესი კანონის“ მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ **ხელისუფლება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ხორციელდება და „არავის აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.**



სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაც თავისუფლებასა და წესრიგს შორის გონივრული მიჯნის გავლებაა. შესაბამისად, ყველა ის ქმედება ან მოწოდება, რომელიც ხელისუფლების ძალადობის (რევოლუცია-აჯანყების) გზით შეცვლისკენ არის მიმართული, ან მიზნად ისახავს კონსტიტუციით დაცული ფასეულობების ხელყოფას, სისხლის სამართლის კოდექსით არის დასჯადი!

ცივილიზებულ სახელმწიფოში, არა მარტო ხელისუფლების ცვლის მექანიზმი, არამედ მოქალაქეთა მხრიდან პროტესტის გამოხატვის ფორმებიც კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამასთან, უმრავლესობის ინტერესების დაცვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ უმცირესობაში დარჩენილთა ძირითადი უფლებებიც არ შეილახოს.

ამდენად, არც მსოფლიო და არც ევროპულ სამართლებრივ სივრცეში არავითარი საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი „აჯანყების უფლება“ ბუნებაში არ არსებობს და ეს „ნოვაცია“ ჩვენი „ტელეპოლიტიკოსების“ რევოლუციური თვითშემოქმედების ნაყოფია, რომლის კიდევ ერთხელ პრაქტიკაში განხორციელება ქართულ სახელმწიფოებრიობას საერთოდ მოუშლის ისედაც მორყეულ საძირკველს!

საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, „ვიღაც მესამეს“ ხელს აძლევს სამოქალაქო დაპირისპირება. ცხადია, „ყოფილ მოქკავშირეებსაც“ და „ნაცებსაც“ საგრძნობლად აუმაღლდებათ რეიტინგი, ვინაიდან, მართალია ხელისუფლებაში „აჯანყების“ გზით მოვიდნენ, მაგრამ უფლებამოსილების მიწურულს მშვიდობიანად გადააბარეს ხელისუფლება „მეოცნეებებს“, თუ ახალგაზრდა „რევოლუციონერ-რეფორმატორებს“.

ამდენად, საზოგადოება არ უნდა აჰყვეს შესაძლო პროვოკაციებს ყოფილი ხელისუფლებისა თუ ფსევდოოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან და საპროტესტო აქციები მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა წარმართოს. მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ცივილიზებული ერი ვართ და ვიცით, სად გადის ზღვარი საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებასა და დანაშაულს („აჯანყებას“, „რევოლუციას“) შორის.

როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსების ერთ ნაწილს დემოკრატიაზეც და აჯანყებაზეც ერთობ სპეციფიკური წარმოდგენა აქვთ. ამდენად, თუ ე. წ. ოპოზიცია „აჯანყობანა-რევოლუციონერობანას“ არ მოიშლის, დიდი შანსია, რომ ამომრჩევლის თვალში, ევროპულმა ღირებულებებმა სრული დისკრედიტაცია განიცადონ და „ქართული დემოკრატია“, უკეთეს შემთხვევაში, ბანანის რესპუბლიკისას დაემსგავსოს, ხოლო უარესს შემთხვევაში, ჯორჯ ორუელის რევოლუციური იდეებით აღგზნებული „ცხოველების ფერმაში“ აპრობირებულს...

განვლილი „აჯანყება-რევოლუციებიდან“ და საპარლამენტო არჩევნებიდანაც საზოგადოებამ სათანადო დასკვნები თუ არ გამოიტანა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე არ აიღო ორიენტირი, საშიში ბაცილებით დაინფიცირებულ ქვეყანას ველაფრით განვკურნავთ და დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად, მართლაც კარიკატურული ტიპის პლუტოკრატიული ტირანია შეგვრჩება ხელში.



**ავთანდილ კახნიაშვილი,**
**სამართლის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.**

---



# ნინო გვენეტაძე „რუსთავი-2“-ის საქმეზე არ საუბრობს

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე „რუსთავი-2“-ის ადვოკატების სასარჩელო განაცხადის დასაშვებობაზე დასმულ კითხვას უპასუხოდ ტოვებს. „მე არ ვარ სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე, მე ვარ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ამ კითხვაზე პასუხს ნამდვილად ვერ მოგცემთ. რამდენი კითხვაც არ უნდა მომცეთ, ამ საკითხებზე პასუხს არ მოგცემთ. თქვენ იცით, რომ საქმე წამოვა უზენაეს სასამართლოში და მე არ მაქვს უფლება რაიმე კომენტარი გავაკეთო საქმესთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ მე არ მაქვს კომენტარის უფლება“, — აცხადებს ნინო გვენეტაძე.**

# ან უვიცობა, ან მიზანმიმართული ბოლმის ნთხევა



## გიორგი უძილაური: 115 მილიონი დოლარის ღირებულების საკონცერტო დარბაზი „BLACK SEA ARENA“ ფონდმა „ქართუმ“ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ააშენეს

**„ქართუ“ ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი უძილაური „რეპორტიორს“ 115 მილიონი დოლარის ღირებულების საკონცერტო დარბაზ „Black Sea Arena“-ს მშენებლობასა და მის მნიშვნელობაზე ესაუბრა:**

**— 10 ივლისს ფონდმა „ქართუმ“ სახელმწიფოს გადასცა „Black Sea Arena“-ს საკონცერტო დარბაზი. რა თანხა დაიხარჯა ამ დარბაზის მშენებლობაზე?**

— დარბაზის მშენებლობა რამდენიმე წელი გაგრძელდა და მის მშენებლობაში დაიხარჯა 115 მილიონ დოლარზე მეტი (270 მილიონ ლარამდე). ამ თანხაში იგულისხმება როგორც თავად შენობა, ასევე დარბაზის გარშემო ინფრასტრუქტურა და „Black Sea Arena“-ს ტექნიკური აღჭურვა. ასობით საქველმოქმედო პროექტს შორის, რომელსაც ფონდი „ქართუ“ ახორციელებს, „Black Sea Arena“ არის ყველაზე დიდი და უპრეცედენტო მასშტაბის ღირებულების საქველმოქმედო პროექტი, რომელიც დასრულების შემდეგ სახელმწიფოს გადაეცა. ამ ტიპის, ასეთი ხარისხის და ტექნიკური უზრუნველყოფის საკონცერტო დარბაზს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ანალოგი არა აქვს.

**— როგორ უნდა განკარგოს სახელმწიფომ ასეთი ძვირფასი ობიექტი? მას ხომ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება?**

— ობიექტი სახელმწიფომ უნდა განკარგოს ფინანსური მოგების მოსაზიდად, რასაც უზრუნველყოფს ამ უნიკალური დარბაზის სწორი და ეფექტური მენეჯმენტი. რასაკვირველია, მეც ვნახე სოციალურ ქსელებში ოპონენტების და ყველაფერში ცუდის მძებნელების ოხვრა და მოთქმა დარბაზის წამგებიანობაზე, მის არამომგებიან მდებარეობაზე და ბიუჯეტისთვის აკიდებულ ტვირთზე და შემიძლია ორი დასკვნა გამოვიტანო: **ეს არის ან უვიცობა, ან მიზანმიმართული ბოლმის ნთხევა.**

**პირველი, დარბაზი ვერ იქნება წამგებიანი, იმიტომ რომ საქართველოში საკონცერტო დარბაზების დეფიციტია იმ ფონზე, როცა თითქმის ყოველ კვირას ქვეყანას სტუმრობს სხვადასხვა ცნობილი მომღერალი და ბენდი.**

**მეორე, დარბაზის ფუნქციონირება შესაძლებელია აპრილიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. გვიანი შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე კი „Black Sea Arena“-ს შეეძლება გააქირავოს მისი სრულიად უნიკალური ხარისხის აუდიო-ვიდეოაპარატურა და ტექნიკა, რაზეც არსებობს უდიდესი მოთხოვნა და შესაბამისად მოაქვს დიდი და გარანტირებული მოგება. მოკლედ, შემიძლია დავამშვიდო ბიუჯეტზე ანაზდად ანერვიულებული ნაციონალები, რომ ფონდი „ქართუს“ საჩუქარი სახელმწიფოს არათუ ფინანსურ მოგებას მოუტანს, არამედ მეტ ტურისტსაც მოიზიდავს.**

**მესამე პრეტენზია იყო დარბაზის ვითომდა არაეფექტური მდებარეობა. საუბარია სოფელ ნატანებზე, შეკვეთილის ზონაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ქობულეთს.**

ტერიტორია ქობულეთიდან ურეკამდე სააკაშვილის პერიოდში თითქოს საერთოდ არ არსებობდა რუკაზე, მაშინ როცა ლოგიკურად, ეს ტერიტორიაც უნდა ემსახურებოდეს ტურიზმის მოზიდვას. საჭირო იყო ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც მოიზიდავდა ტურისტსაც და ინვესტიციასაც და გადაწყდა ნატანებში უნიკალური საკონცერტო დარბაზის აშენება.

არის ვერსია, თითქოს „Black Sea Arena“-ს მშენებლობის მიზანი იყო იქვე ზღვისპირას მშენებარე სასტუმრო „შეკვეთილისთვის“ დამატებითი ინფრასტრუქტურის აშენება.

**ჯერ ერთი, სასტუმრო „შეკვეთილის“ მშენებლობა დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე საკონცერტო დარბაზის. მერე მეორე, რა ლოგიკაა 90-მილიონიანი სასტუმროსთვის, ააშენო 270-მილიონიანი დარბაზი? ან რომც ააშენო, რაში სჭირდება სასტუმროს 10 000 კაცის ტევადობის ობიექტი?**

„Black Sea Arena“ აშენდა საქართველოსთვის, ტურიზმის განვითარებისთვის და რეგიონში ეკონომიკური ინვესტიციების მოზიდვისთვის. სულ მალე, დარბაზის მიმდებარე ტერიტორიები შეივსება ახალი ობიექტებით და ადგილობრივ მოსახლეობასაც შეეძლება ნახოს ის სარგებელი, რომელიც აქამდეც უნდა მიეღო, წინამორბედ ხელისუფლებას ბედის ანაბარად რომ არ მიეტოვენინა ოზურგეთის რაიონის ეს ზონა.

**— „Black Sea Arena“-ს მშენებლობაში თუ იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა?**

— რასაკვირველია, დასაქმებულთა უდიდესი უმრავლესობა როგორც საკონცერტო დარბაზზე, ასევე სასტუმრო „შეკვეთილის“ მშენებლობაზე სწორედ ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს უნიკალური კომპლექსი სახელმწიფოს აუშენეს ფონდმა „ქართუმ“ და ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ესაუბრა
**ნენე სტეფანიშვილი**





# ბალნეოლოგიური კურორტ ლაშიჭალის განვითარებით ყაზახი ინვესტორები დაინტერესდნენ

**ბალნეოლოგიური კურორტ ლაშიჭალის განვითარებით ყაზახი ინვესტორები დაინტერესდნენ. ამის შესახებ რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე „კომერსანტთან“ აცხადებს. მისი თქმით, ყაზახი ინვესტორები უახლოეს მომავალში თავად აპირებენ კურორტზე ჩამოსვლას და მის ადგილზე დათვალიერებას.**

მარგველიძე ამბობს, რომ ინვესტორთა ჯგუფი შეისწავლის მხარის პოტენციალს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ადგილობრივ გუბერნიასთან საინვესტიციო წინადადებით მიმართვა.

როგორც მარგველიძე ამბობს, ლაშიჭალით. **გარდა ყაზახებისა, სხვა ქვეყნის ინვესტორებიც არიან დაინტერესებული. ასევე ინტერესს გამოთქვამენ ადგილობრივი ინვესტორები.**

იმის შესახებ, რომ **რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ბალნეოლოგიური კურორტი ლაშიჭალას განვითარებაზე სამოქმედო გეგმა მუშავდებოდა, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ „კომერსანტთან“ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ განაცხადა. მისი ინფორმაციით, მიმდინარეობდა კურორტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა, რომლის დასრულების შემდეგაც მისი განვითარება დაიწყებოდა.**

საუბარია ისეთ კურორტებზე, როგორიცაა ლაშიჭალა და ძუღური. მისივე ინფორმაციით, **კურორტის განვითარება მთავრობის 4-პუნქტიან გეგმაში ჯდება. როგორც გუბერნატორი აცხადებს, კურორტის სრულად განვითარებას რამდენიმე წელი დასჭირდება.**

მარგველიძე ამბობს, რომ **ლაშიჭალაში არსებული სანატორიუმი წლების განმავლობაში მიტოვებული და უფუნქციოდაა დარჩენილი. მისი თქმით, საბჭოთა პერიოდის შემდეგ კურორტზე არსებული სანატორიუმი დაკეტილია, ლაშიჭალაში ჩასული დამსვენებლების განთავსება კი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ხდება.**

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი განმარტავს, რომ მიუხედავად კურორტზე არსებული რთული მდგომარეობისა, ლაშიჭალა ტურისტების სიმცირეს არ განიცდის. მარგველიძე ამბობს, რომ ამ დროისთვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მუშაობს მისასვლელი გზების მოწესრიგებაზე, თუმცა, სამომავლოდ დაგეგმილია ლაშიჭალამდე მისასვლელი გზის კაპიტალურად შეკეთება.

**შეგახსენებთ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მუშაობს 4-სეზონიანი კურორტების განვითარებაზე — იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა, როგორც მთის კურორტებზე, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით, მუშავდება ახალი ტურისტული პროდუქტები.**

**რაც შეეხება ბალნეოლოგიურ კურორტ ლაშიჭალას, ის ცაგერიდან 20 კმ-ში მდებარეობს. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-კალციუმიანი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამედიცინო ჩვენება — საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებები. ძუღურის წყალი კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, დაავადებული ღვიძლის უებარი მკურნალია.**

**სოფო ქსოვრელი**

# ყველა სიახლე ამ გზით სწრაფად მივა თითოეულ ოჯახამდე

ქვეყნის მთავარ სატრანზიტო ავტომაგისტრალს კიდევ ერთი ჩქაროსნული 11-კილომეტრიანი მონაკვეთი შეემატა. გაიხსნა ბაში-დაფნარის მონაკვეთიდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა ახალ გზაზე გადაერთო.

**„ამ გზის მეშვეობით მგზავრებს საშუალება ექნებათ გვერდი აუქციონ მჭიდროდ დასახლებულ სამტრედიას და უფრო სწრაფად, კომფორტულად და უსაფრთხოდ გააგრძელონ გზა. ეს არის კიდევ ერთი ქვეპროექტი იმ დიდი პროექტისა, რასაც საქართველოს სატრანზიტო ავტომაგისტრალის განვითარება ჰქვია. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო სამუშაოებში. მადლობას ვუხდი კონტრაქტორ კომპანიას, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომელმაც კარგი მენეჯმენტი გაუწია ამ პროექტს, ინფრასტრუქტურის მინისტრს და მის გუნდს, ჩვენს პარტნიორებს — იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB),“** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, მოწესრიგებული და კომფორტული გზა მეტ შესაძლებლობას იძლევა ყველასთვის, რაც, მისი თქმით, ნიშნავს, რომ ქვეყანასაც და ხალხსაც გაუჩნდება მეტი შემოსავლის წყარო.

გიორგი კვირკაშვილმა ბედნიერი მგზავრობა უსურვა ყველას და განაცხადა, რომ ყველა სიახლე, რომელსაც მთავრობა ხალხის უკეთესი ცხოვრებისთვის აკეთებს, ამ გზით კიდევ უფრო სწრაფად მივა თითოეულ ოჯახამდე.

**ბაში-დაფნარის 11-კილომეტრიანი მონაკვეთი მოიცავს ქუთაისის შემოვლითი — სამტრედიის (24 კმ-იანი გზის) 9-კილომეტრიან და სამტრედია-გრიგოლეთის (11.5 კმ-იანი გზის) 2-კილომეტრიან მონაკვეთებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი ბაშის კვანძიდან იწყება და არსებულ გზას დაფნართან უერთდება.**





კისისხევის ციხე-წისქვილი

# ორი სოფლის გუშაგი

## შუამთის ქვეყანა

კისისხევი (ხეობა) ძირითადად სამ სოფელს მოიცავს: მდინარის მარჯვენა სანაპიროზე — ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ წინანდალს, ხოლო მარცხენა სანაპიროზე — სოფელ კისისხევს და კონდოლს.

იმ ადგილზე, სადაც კისისხევისა და კონდოლის მიწები ერთმანეთს ემიჯნება, ზედ საავტომობილო გზის ნაპირზე, მდინარე კისისხევის მარცხენა მხარეს, ორი სოფლის გუშაგად წამომართულია ერთი დაკუნთული და ფრიად მოხდენილი ციხე-კოშკი. **ეს ნაგებობა გვიან შუასაუკუნეებშია აგებული და პირველ ხანებში დაღესტნელი მეკობრეების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის ერთ-ერთი ფორპოსტი იყო.** დაახლოებით ორი საუკუნის წინათ მისთვის ფუნქცია შეუცვლიათ და წისქვილად გადაუკეთებიათ. როგორც სოლომონ ლაფაური წერს, იგი ხეობის 9 წისქვილში ყველაზე დიდი ყოფილა და აქ კახეთის სხვადასხვა სოფლიდან მოსულ გლეხებსაც კი ნახავდით. XX საუკუნის 30-იან წლებში სოფელში სხვა, დიდი წისქვილი აუგიათ და კოშკისთვის, დოლაბებთან ერთად, წყალიც მოუცილებიათ. მიუხედავად ამისა, ამ კოშკს დღემდე შემორჩა სახელად **ციხე-წისქვილი.**

კოშკი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ წაგრძელებული პარალელოგრამის ფორმის შენობაა (9,5X:6,32). იგი სიმაღლეში 8 მეტრის დონეზეა შემონახული. ნაგებობის ოთხივე კუთხეში ჩადგმულია გარედან მომრგვალებული და სიმაღლეში ოდნავ დავიწროებული ბურჯები. პირველი სართული გადახურულია ქვის კამარით, რომლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მეორე სართულზე ამავალი კიბე იყო ჩართული. მეორე სართული საცხოვრებელი ყოფილა, მაგრამ მასაც მრავალი სათოფური აქვს ორ რიგად. პირველ რიგის სათოფურები ქვევით იყურება, მეორე, ზედა რიგის სათოფურები — პირდაპირ. ეს სართული ხის კოჭებით ყოფილა გადახურული. საბრძოლო ხასიათის ყოფილი მესამე, ბანიანი, სართული, რომელსაც ქონგურები ჰქონდა. კოშკში დაბანაკებას ერთდროულად 40-50 მებრძოლი შეძლებდა.

სოფელ **კონდოლში** ვეშვებით ალაზნის ველის მიმართულებით.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფელს ძალიან ძუნწად ახსენებს: **„....მოერთვის კვალად ალაზანს, კისისხევი... ამ ხევზედ კლდეში არს ქვაბნი მრავალნი გამოკვეთილნი. აქავ ღვინო კონდოლისა წარჩინებული“. როგორც ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“** წერს, კონდოლის ვაზის ჯიშებში ენდემურობით „უსახელო“ გამოირჩეოდა.

საისტორიო წყაროებში სოფელი კონდოლი მხოლოდ გვიანი შუასაუკუნეებიდან გვხვდება (იგი მოიხსენიება ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი კახეთის სოფლების 1821 წლის აღწერის მეორე გრაგნილში), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს, აქაური დასახლება ამ დროიდან იწყებდეს არსებობას. სოფლის ტერიტორიაზე შემონახული სხვადასხვა ეპოქის 14 ძეგლი საწინააღმდეგოს ღაღადებს. ამ ძეგლთაგან ყურადღებას 3 უმთავრეს და ყველაზე ძველ საყდარზე შევაჩერებ.

პირველი ყველაზე საგულისხმო ეკლესია, რომელსაც სოფელში **„წმ. სტეფანეს“** სახელით იცნობენ, აღმოსავლეთ უბანში არსებულ ძველ სასაფლაოსთან ახლოსაა. ეს არის რამდენადმე ორიგინალური სამეკლესიანი საყდარი, რომელიც VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. თუ XVI ს.-ში დასავლეთიდან მიდგმულ კოშკურა კარიბჭეს არ მივიღებთ მხედველობაში, საყდარი, თითქმის, კვადრატულია (9,7X9,3 მ.) და ნაგებია რიყის ქვით. კანკელი აგურისაა და იგი კარიბჭის დროინდელი უნდა იყოს. ცენტრალური და სამხრეთ ეკლესიების საკურთხევლის აბსიდები მკვეთრად ნალისებრია, ჩრდილოეთისა კი სწორკურთხა. საყდრის თავდაპირველი, ძირითადი, შესასვლელი ტრადიციულად, სამხრეთ ეკლესიის სამხრეთ კედელში ყოფილა ჩადგმული და ორთაღოვანი კარიბჭის ფორმა ჰქონია, მაგრამ XVI საუკუნეში ამოუშენებიათ.

„წმ.სტეფანეზე“ 100-150 წლით გვიანდელი უნდა იყოს სოფლის ჩრდილოეთ უბანში, მცირე კორომში მდგარი დარბაზული ეკლესიის **„ნათლისმცემლის“** ნანგრევები.

ამავე სახელწოდებისაა სოფლის ყველაზე ძველი ეკლესია, რომელიც აქედან არც თუ ისე შორს დგას. ეს არის VI საუკუნის სამნავიანი ტაძარი, ანუ კლასიკური ბაზილიკა. მისი სიგრძე 19 მეტრს აჭარბებს, სიგანეში კი მხოლოდ 9,5 მეტრია (გარე ზომები). აქაც ძველი სასაფლაოს კვალი იკითხება, მაგრამ ტაძრის გარშემო, 1,5-2 მეტრში, იმხელა ხეებია, რომ ძეგლის ერთიანი ხედით გადაღება შეუძლებელია. ამასთანავე იგი ძალიან ბნელია, რადგან მხოლოდ აღმოსავლეთსა და სამხრეთის ძალიან ვიწრო სარკმლებით ნათდება.

ცენტრალური ნავის სიგანე მხოლოდ 3,25 მ-ია, გვერდითი ნავებისა კი მისი მეოთხედი — მათში გვერდიგვერდ ორი კაცი ვერ გაივლის. განაპირა ნავები ცენტრალური ნავისგან სამ-სამი თაღედით გამოიყოფა. ცენტრალური ნავი სიმაღლეში დაახლოებით 7 მეტრია, გვერდითი ნავები კი მისი ნახევარი. ცენტრალური ნავის საკურთხევლის აბსიდი მკვეთრად ნალისებრია, ჩრდილოეთისა — სწორკუთხა. სამხრეთ ნავის აღმოსავლეთ კედელი, ვერ ვნახე. საქმე ის არის, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამ ნავის თაღები მთლიანად ამოუქოლავი და გარედანაც ისე ჩაურაზავთ, რომ თუ არ შეანგრიე, ისე ვერ შეხვალ.

თითქმის გვერდიგვერდ მდგარი ორი „ნათლისმცემელი“ იმას გვეუბნება, რომ ერთ-ერთს, და ალბათ უფრო VI საუკუნის ბაზილიკას, ადრე სხვა სახელი უნდა რქმეოდა. როგორც, სავარაუდოა, IX-X საუკუნის დარბაზული საყდრის დანგრევის შემდეგ სოფელმა ნათლისმცემლის ხატი VI საუკუნის 3-ნავიან ტაძარში გადმოასვენა და იგი ახალ „ნათლისმცემლად“ აქცია. ამ ვარაუდის გასამყარებლად სხვა მოსაზრებაც უნდა მოვიშველიოთ: ნათლისმცემლის სახელზე აგებული თითქმის ყველა ქართული საყდარი რაიმე მისტიკური ნიშნით გამოირჩევა ხოლმე, კონდოლის ეს ბაზილიკა კი მეტად მარტივი ნაგებობაა. კიდევ უფრო დამაფიქრებელია თვით სოფლის სახელწოდება კონდოლი. **იბადება შეკითხვა: კონდოლი ორი მცირეაზიელი წმინდა მკურნალი ძმის, უვეცხლო კოზმასა და დამიანეს ისეთივე შეკვეცილი და სახეცვლილი ფორმა ხომ არ არის, როგორც კორდომიანი და კონდამიანი? ამ სახელწოდების VI ს-ის ეკლესიები ხომ მეზობელ ვაჩნაძიანში და კისისხევშია. განსაკუთრებით კისისხევის „კონდამიანი“ იქცევს ყურადღებას, რადგან ის და კონდოლის„ნათლისმცემელი“ ერთსა და იმავე ხევში მდებარეობდნენ. ორი წმინდა ძმის პატივსაცემად ორი ეკლესია ხომ არ აიგო: ერთი — ხევის თავში და მეორე — ხევის ბოლოში? არის მეორე ვერსიაც: ტოპონიმები კონდოლი და კონდამიანი, რომლებიც ისევ და ისევ წმინდა მკურნალთა სახელებს უკავშირდება, ხევში მომხდარი ადრეული მიგრაციების გამოძახილიც შეიძლება იყოს...**

* * *

სოფელ კონდოლის აღმოსავლეთ უბანში გამობრუნებულმა ერთი უცნაურობა დავაფიქსირე: ახალგაზრდა კონდოლელმა კაცმა, საფერავის ვენახს რომ აშენებდა, შორიახლო მდგარ ეკლესიაზე მიმანიშნა და მითხრა — ეგ საყდარი სოფელ კისისხევს ეკუთვნისო. არადა, კისისხევი ცენტრალური ავტომაგისტრალის მეორე მხარეს, დაახლოებით 2 კილომეტრში მდებარეობს, კონდოლი კი აქვეა. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ კისისხევი და კონდოლი ერთ დროს მთლიან დასახლებას წარმოადგენდა...

ახალგაზრდა კონდოლელის მიერ ნაჩვენები საყდარი წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია გამოდგა. გავიგე ამ ადგილის სახელწოდებაც — ჩიბახურები, რომელსაც ძველი მოსახლეობა **დავით გარეჯის სამონასტრო მიწასაც** უწოდებდა. შემორჩენილია ამ უბნის კიდევ ერთი სახელწოდება **—„ხატის მუხები“**. ეს ეკლესია IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს. იგი რიყის ქვითაა აგებული, აღდგენისას კი აგურია გამოყენებული. **როგორც საყდრის მხედრული წარწერა გვეუბნება, იგი განუახლებიათ ქევხიშვილებს, იობაშვილებსა და მიქელაძეებს.**



კისისხევის „ჩაბახურები“



კონდოლის „წმ. სტეფანეს“ ინტერიერი.

... ისევ გურჯაან-თელავის ავტომაგისტრალზე ამოვდივართ და კარგად ნაცნობი დაკუნთული კოშკის სიახლოვეში სოფელ კისისხევისკენ ამავალ გზას მივუყვებით ...თითქოს ისე ძალიან აღარ ცხელა, ჭრიჭინების ხმაც შენელდა.

სოფელი კისისხევი ფაქტიურად ამ კოშკიდან იწყება, თუმცა დასახლება გაცილება ზევითაა. ამიტომ, სანამ სოფელში შევიდოდეთ, უმჯობესია სოფლის წარსულზე ორიოდ სიტყვა დავხარჯოთ. კისისხევი ხეობის აყოლებაზე არსებული მცირე დასახლებული პუნქტების, ანუ ერთიანი „ხევის“ ცენტრი ყოფილა და ნელ-ნელა გაწეულა მხრებში. როგორც უამრავი ეკლესია, ისე მოსახლეობაში შემონახული გადმოცემა გვეუბნება, რომ ეს დაბა კახეთში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი ბურჯი გამხდარა. ამის გამო კისისხევის უმეტესი ნაწილი კახეთის სამთავროს, შემდეგ კახეთ-ჰერეთის ქორეპისკოპოსის, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ სვეტიცხოვლის მამულს წარმოადგენდა. XII საუკუნის 90-იან წლებში იგი თამარ მეფემ მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთავისძეს უბოძა. კისისხევის საეკლესიო ტრადიცია გვიან შუასაუკუნეებშიც გაგრძელდა, რამაც სოფელს განსაკუთრებული პეწი შეუნარჩუნა. მისი გამორჩეული თავგადასავალის გასაცნობად ხევის სიღრმეში მოგვიწევს შესვლა.

**გელა ქოქიაშვილი.**

**ავტორის ფოტოები**





კონდოლის „ნათლისმცემლის“ ფასადი და ინტერიერი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119, 123, 127

# ქართველი მეცნიერის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

2016 წლის 27-29 ივნისს პოლონეთში, ქალაქ ვროცლავში, ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი, რომელიც მიეძღვნა ამავე უნივერსიტეტის მშენებლობისა და ინჟინერინგის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ერჟი სობოტას** დაბადების 70 წლისა და 46 წლის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის იუბილეს. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს 10 წამყვანი ქვეყნის მეცნიერ-სპეციალისტები, მათ შორის საქართველოდან ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი გავარდაშვილი**.



სემინარის მსვლელობისას ვროცლავის უნივერსიტეტში პროფესორი გივი გავარდაშვილი ბოლო ათ წელიწადში (2006-2016 წ.წ.) ქართულ და პოლონურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულ იქნა ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – ვერცხლის მედლითა და დიპლომით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. გ. გავარდაშვილის, როგორც მეცნიერის აღიარება შედეგია მის მიერ გაწეული იმ ათწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და მენეჯმენტის მიმართულებით ჩატარებული აქტიური მუშაობისა, რაც გამოიხატა ქართულ-პოლონური საერთაშორისო საგრანტო პროექტების, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებისა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდისათვის გაცვლითი სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების მომზადებასა და რეალიზაციაში.

ყოველივე ამ წარმატების საფუძველია 2006 წელს ქ. ვროცლავში, ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების უნივერსიტეტის რექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ რომან კოლაჩისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გივი გავარდაშვილის მიერ თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერა და მისი რატიფიკაცია შესაბამი-



სად, ვროცლავის უნივერსიტეტის აკადემიურ და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებზე.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება საზოგადოებრივ ქსელში პროფესორ გივი გავარდაშვილის კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებასთან დაკავშირებულ მილოცვებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და უსურვებს მას კიდევ მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ მიღწევას ჩვენი ქვეყნის ევროპის ოჯახში დამკვიდრების საქმეში.**

◎ ციკლიდან – „შავი კრიალოსანი“

## გივი შეყილაძე

# ოცდახუთწლიანი „თავისუფლების“ მონაგარი

### წინამძღვრიდან ასი წლის შემდეგ

ეს დღეც მოვიდა.საუკუნე მომრგვალდა თურმე
და მუზეუმში ჩაჟანგებულ ტყვიებს აჟრჟოლებთ.
ასი წელია, ვთოხარიკობთ ბრიყვი ოთურმით,
წმიდა სისხლმა კი საკვირველად სად არ გაჟონა,
გამოაფოთლა უტიფართა ლოყებს ლაქებად,
თუმცაღა მათ ცივ გულისგულში ვერ შეაღწია
და ამიტომაც შენს მამულში არ დალაგდება
ის, რაისთისაც მოზვარაკემ თავი გასწირე.
დღეს უნამუსო მკვლელობების შავ ეშაფოტებს,
ვითომ დამგმობი, ამუნათებს ურცხვი მავანი.
ძვირფასო სულო, აი, ყველა, რაც კვლავ გაშფოთებს,
რადაც წარმოჩნდა ფურთხის ღირსად შთამომავალი.
ასე წამებით ჩამოწურა წლები ჟამთასვლამ
და რა შეცვლილა, პარტახი სძოვს ისევ ქვეყანას.
ვეღარას არგებს წმიდა სისხლის მიწყივ გადასხმა,
როცა მის სვე-ბედს ატრიალებს ცრუ და მკვეხარა.
მუხლზე დამშთარი საქართველო – მუხა ვნებული -
თვალს ვის მიაპყრობს, ხსნას სად ელის
წამოსადგომად,
როდესაც ტყვიებს, მაშვრალ მკერდში გაციებულებს,
სანთლებად ინთებს გაიძვერა ყოველ აღდგომას.
მომრგვალდა თურმე ეს თარიღიც, ეს ასი წელი,
ქართლის სვე-ყოფის ავბედითად ყრუდ გადამშლელი...
არ გვეშველება, სანამ მკვლელი, მკვლელი ქართველი
თვით არ მოიჭრის ბილწ მარჯვენას –
შენსკენ გაშვერილს!

### ათასწლეულთა მიჯნაზე გამართული ცრუ აღლუმის კომენტარი

აჰა, დასრულდა ეს აღლუმიც და პირფერობის
მზიან ამინდთან შეფერილი ხოხვა, ლაციცი.
ურდულის მიღმა დრტვინავს ხალხი, ვისაც თვეობით
შიმშილის გზაზე ორი გროში უხვად დაცინცლეს.
აჰა, დამთავრდა...რას ჰპირდება, რა ტაბლა-კვერებს,
ოცდამეერთე საუკუნის რა ჯანღს და ჰაერს
ხალხს, ვის მაშვრალ სულს ვირის წიხლით გადააკერეს
ფურთხი, რას უქსოვს, რა განსაცდელს, რა სიჯანდაგეს.
ეს უწყის ვითომ სვეძლიერმა, რომელიც მომცვდარ
მგლის კბილით მაინც ლეშის სუნზე დაგეშილია.
ვითომ გულჩუყსაც, ცრუ ცრემლმომდგარს,
ხან მზირალს მორცხვად,
ვითომ აშინებს ღმერთის კითხვა: არ გეშინია?

და ჰა, გასრულდა ეს აღლუმიც, უკანასკნელი,
ამ ასწლეულის ბოლო ფარსი და ლიტანია.
ურდულის მიღმა სასიკეთოს ნუღარას ელი -
მრავალჟამიერს ქონგურები წარუტანია...
(მრავალჟამიერს... თუმც საწუთროს თავის წესი აქვს,
ხელეწიფება დროს, გაქციოს პირველი ბოლოდ,
პირქვე დაგამხოს ცრუ ბელადი და ცრუ მესია,
გადაგაქციოს სამარადო ზიზღის სიმბოლოდ).
„ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს“-
ჯერ კიდევ როდის მწუხარებდა მწირი მგოსანი.
ზღვარდაუდები სიხარბისგან თვალი დაგევსო,
გაშიშვლებულხარ მოენეთგან ცრუსხივოსანი.
„და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს“...

შესდექ...
მაცხოვარს მოუზომავს მიწა ყველასთვის.
ამაო არის გაბრძოლება – არ მიეკაროს
სიკვდილი – ჩაფლულს სიმდიდრეში,
ჩაფლულს ყელამდის!...

აჰა,დასრულდა ეს აღლუმიც და პირფერობის
მზიან ამინდთან შეფერილი ხოხვა,ლაციცი...

* * *

ვის ჩრდილში დგახარ, ვისი ჩრდილის ჩრდილი
გაპურებს,
იგორებ მკერდზე ჭიქა – ყანწებს მამაპაპურებს,
ვის ჩრდილში მღერი, მღერი „ლილეს“,

მღერი „ჩაკრულოს“,
ჩრდილთა წყვდიადში ჩანთქმულო და გადაკარგულო,
ვის დარბაზებში ებრძვი ურცხვად უცხო საყურეს,
ვნებადამცხრალი ვის კაბადონს, ვის ცას გაჰყურებ,
ვის ჭაღებქვეშ ხარ საბოლოოდ სულ მთლად შიშველი,
ეს სულერთია – უკვე ღმერთიც ვეღარ გიშველის.
და სხვის ჩრდილში მყოფს, დღეს რომ სხვისი
ჩრდილი გაპურებს,
ხვალ ვით არყოფილს, დრო გაგაქრობს, გაგაპანღურებს.

* * *

ვფიქრობ მიზეზზე, ცხოვრება ჩვენი
რად არის მხოლოდ ამაოება.
უბედურება სულის შემძვრელი
უბედურებას როგორ მოება.
როგორ მოება ერთი მეორეს
უზნეობის და ქიშპის სიმრავლე.
ერი ჯიუტად რად იმეორებს
უსინდისოთა რაც დაიბრალეს.
პარტახშეყრილი სამშობლოს გარეთ
რა ოქროს თესენ და რას ნათლავენ,
აქ ვინ ურჩება ჭირის მოზარედ
გაძვალტყავებულ ხსოვნის საფლავებს.
ზარად ჩამესმის ისევ ძველი ხმა:
„და შენს მიწაზე კაცი არ არის“...
იგი ხმა გრგვინავს მარად შერისხვად
და არსაით ჩანს გზა – გასავალი.
რამდენჯერ უნდა ვიწიწამუროთ,
ერს რომ დააწყდეს შუბლის ძარღვები.
რამდენჯერ, ჩემო ტკბილო მამულო,
უნდა აგავსოთ ლიქნით, ძაგებით.
თავისუფლებამ უკვე გვიბოძა
საჩხრეკი – თურმე რანი ვყოფილვართ:
ამოიზიდა სირცხვილის ბოძად,
ჩრდილები მისი გარდამოგვფინა.
ერთ დროს ძლიერო, მერე თანდათან,
შენთა შვილთაგან კნინო მამულის
სულო, დაეხსენ ბანგს და საღათას,
ამ ერთხელ მაინც ჰყავ სასწაული.
ამ ერთხელ მაინც, აღსასრულისას,
მოეგ გონებას, ვიდრე დაშთები,
უპოვე ნასკვი სიყვარულის გზას,
მოზიდე შენსკენ თოკი მაშველი.

### რაღა დარჩა...

გამეჩხერდა, განახევრდა საქართველო
სისხლდაცლილი.
წელში ვეღარ გამართულა, ჭირშეყრილი,დავრდომილი,
დღენიადაგ ხატების წინ ლოცვად მდგარი
სისხამ დილით,
გულმოკლული, ნაღვლიანი, ამაზე სწუხს, დარდობს გივი.
შენ კი, შენ კი , როცა ხედავ
ბერძნის კარზე, თურქის კარზე,
სამათხოვროდ წასულ ქართველს,
რა გამშვიდებს, თუ გიყვარდე,
ოდნავ მაინც არ გადარდებს,
როცა ხედავ მონად შთენილს,
თანამოძმეს, შიმშილმოკლულს უცხო სუფრის
მონარჩენით?...
ყოველივე ამით გივი შეძრული და ცოცხალმკვდარი
დღენიადაგ ხატების წინ იმეორებს ლოცვად მდგარი:
„მშობლიური ცა,ზღვა,მიწა უტვინობით დაგვკარგვია,
ვინც აქ დავრჩით, თუ არ დავრჩით, ქართველები
აღარ გვქვია.
შემომჭკნარა, შემომდნარა,საქართველო საყვავყორნედ.
გამოვიღოთ უნდა ხელი, რომ ვაყოვნებთ,
რად ვაყოვნებთ...“

დრო კი მიდის, აღსასრული ჯიუტად და ნელა მოდის.
რაღა დარჩა გაქრობამდე, აღარ ყოფნის საღამომდის!

### ქიათურელთათვის გასაგზავნი ბარათი

არკადი (კაკო) ვაშაძეს

გაუცნაურდნენ საშევარდნო, ქვაბნი მღვიმევის,
„სხვა ხალხის ისმის“ – მგოსნის სიტყვით, დღეს აქ ხმაური.
სტალინის ბაღში ღამისმთევი და ნაღვინევი
ბიჭები აღარ ბრუნდებიან აურზაურით.
გამქრალა ირგვლივ, უპირველესს რომ ვუწოდებდით,
უშუალობა,თვისტომობა, პირდაპირობა:
ვინ მუშა იყო, ვინ გლეხი და ქურდის წოდებით
ვინ განუხრელად ასრულებდა განაბთ პირობას.
ეს და მთავარი – მაღაროს პირს ჩაჩქან-ფანრებით
მადნის მთხრელების უდრტვინველი წყნარი არმია,
დღიური ლუკმის ნაშოვარით განახარები –
დროს, მზაკვარ ძალას, საბოლოოდ წარუტანია.
დარწმუნდებოდა თვით ყველაზე ურწმუნო თომა,
რომ დადგებოდა მომავალი ასე დღეშავი?
გადაჰყვებოდა ეს ქვეყანა უაზრო თომარს,
უსინდისობა გამოგვღრღნიდა გადამრეშავი?
დღეს კლდეთა ძირში ჩაგდებული თრთის ჭიათურა.
თვალ და ხელ შუა სიღატაკე ასე რამ შობა.
შეგვრჩა სურათი: სიპარტახის ნიჭი ქართულად
და უგზოუკვლოდ დაკარგული ჩვენი ბავშვობა.

31 მაისი, 1998 წელი

# „ინტელექტის“ განძი ყველასთვის ხელმისაწვდომია

**ძველი ბერძნული მითოლოგია ბევრს დაკარგავდა მინოსის ასულ არიადნას თეზევსისთვის დედალოსის მიერ აგებული ლაბირინთიდან თავის დასაღწევად ძაფის გორგალი, რომ არ მიეცა. ჩვენც, წიგნის მოყვარულები და ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებულები ძალიან ბევრს დავკარგავდით ბატონ პახმეგ კუდავას რომ შესანიშნავი გამომცემლობა „ინტელექტი“ არ დაეარსებინა და მის ლაბირინთებში უამრავი ცოდნას მოწყურებული ადამიანისათვის მსოფლიო მარგალიტების გადმოქართულება და გამოცემა არ დაეწყო. შედიხარ მართლაც ამ უცნაურ ლაბირინთში და არიადნას ძაფი მხოლოდ მაშინ გჭირდება, როდესაც იმ უამრავი ცოდნასაგანძურის გამოტანა გსურს, გამოტანა, რათა კვლავ დაბრუნდე ამ ჯადოსნურ სამყაროში. ყოველწლიურად ქართველი მკითხველი ასობით მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ უნიკალურ წიგნს იღებს ამ ლაბირინთიდან, როგორც მსოფლიო საგანძურიდან, ისე მშობლიური ლიტერატურიდან. წიგნთა არჩევანი დიდია, დაწყებული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურიდან და მემუარული შედევრებიდან, დამთავრებული თანამედროვე ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებით.**

**ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა გამომცემელთან შეთანხმებით, ხანგამოშვებით ქართველ წიგნისმოყვარულთ მიაწოდოს მცირე ინფორმაციები „ინტელექტის“ ახალი გამოცემის შესახებ, რომ ადვილად გაიკვლიოთ გზა „ინტელექტის“ ინტელექტუალურ ლაბირინთში.**

## მოურჯულებელი მარტოხელა მგლის ამოძახილი...

### ლია სტურუა „მგლის საათი“

რა არის საჭირო, პოეტმა მკითხველამდე გასაგებად მიიტანოს თავისი სათქმელი და მით უმეტეს რომელიმე პატარა ნერვიც ატკინოს? შენი საფიქრალ-ნააზრევი გაათავისებინო და სული აუფორიაქო? — ამაზე ქალბატონ **ლია სტურუას** თავისებური შეხედულება აქვს, მისივე ფილოსოფიური, ღრმაშინაარსიანი, დამაფიქრებელი, ზოგისთვის მიუწვდომელი და ამით უფრო დამაინტრიგებელ-ჩამაფიქრებელი „სტურუასებური ფილოსოფიით“ ახსნილი.




„ინტელექტში“ ზვიად რატიანის რედაქტორობით წლეულს გამოცემული ლექსების კრებულისთვის პოეტს **„მგლის საათი“** უწოდებია და შესავალშიც თავად განუმარტავს მკითხველისთვის, თუ რატომ აირჩია ადამიანის უამრავ ეპითეტთა შორის ყველაზე უცნაური — „მოუთვინიერებელი ადამიანი“, ანუ იგივე მგელი. მგელი, რომელსაც შეიძლება შეეჩვიო, თავი შეაყვარო, მაგრამ იქამდე ვერ მოათვინიერო, რომ ცირკის არენაზე გამოიყვანო და შენი მითითებები შეასრულებინო.

პოეტს ხომ თავისი სათქმელი მკითხველამდე ლექსით მიაქვს. მაგრამ რა არის პოეტისთვის ლექსი? აბა თავად თეთრი ლექსის დიდოსტატს ვუსმინოთ — **„მოთვინიერებულ კაცსაც თავისუფალი აზროვნება უჭირს, ხატოვანი — მით უმეტეს. მზერაში რომ ღმერთი ჩაგიჯდება, ან ეშმაკი და რაღაცას ისეთს დაგანახვებს, გგონია, სიტყვას ვერ მოძებნი, სხვისთვის გასაგებს, მაგრამ შეუთანხმდები ამ სიტყვას, შენს ხორცს აჭმევ, სისხლს დააყოლებინებ, მოარიგებ სხვა სიტყვასთან, ისე განაწყობ მათ ერთმანეთის მიმართ რომ ლექსი გამოგივა“.**

დიახ, გამოგივა ლექსი, რომელიც შენი სისხლითა და ხორცითაა ნასაზრდოები, შენი სულის ძახილია. ეს შენი სულის ძახილი კი სხვას უნდა გაანდო, ისე როგორც მარტოხელა, ნაღვლიანმა მგელმა, რომელიც თავის სათქმელს მთვარეს უამბობს.

**„ამიტომ მიყვარს ეს ძლიერი, მარტოსული, რომანტიკოსი მგელი, რომელსაც სულ უფრო ვემსგასები, თუ მეჩვენება ეს, არ ვიციო“** — ბრძანებს მოურჯულებელი ხასიათის პოეტი და გვიყვება თავისი სულის ამოძახილს, გვიყვება ისე, უბრალოდ, თავისთვის, განა იმიტომ რომ თანაგრძნობა სურს, არამედ თავისავე ხასიათის მარტოხელა მგლების შესაძახებლად — თქვენი საათია მოურჯულებელნო და ერთხელ მაინც გულახდილად თქვით თქვენი სათქმელი, ისე უბრალოდ, თუნდაც მთვარეს შეჰღაღადეთ თქვენი მოურჯულებელი სულის ელეგია.

## ხიდი არქაულ სამყაროსა და დღევანდელობას შორის

### სვანური ხალხური პოეზია, „დალილდ“

ქართული პოეზია... პოეტთა ასი ლექსი... ასი წიგნი, წიგნი რომლის ას ლექსს (არც მეტი, არც ნაკლები) იტევს... შეეჭიდა „ინტელექტი“ და ჩაათავა კიდეც. და სანამ ბოლომდის გავიდოდნენ, **„ძველი ქართულის უძვირფასესი სალაროს“** შეკრება განიზრახეს და ქალბატონ **როზეტა გუჯეჯიანს,** პროფესორს და თავისი მშობლიური კუთხის, მართლაც მსოფლიოს არქაული სამყაროდან ერთ-ერთი შემორჩენილი ხალხის პოეზია-შედევრების უბადლო მკვლევარსა და მცოდნეს სთხოვეს — 1939 წლის შემდეგ არგამოცემული „სვანური პოეზიით“ დავატკბოთო ჩვენი მკითხველი. თავის დროზე, ეს მარგალიტები აკაკი შანიძეს, ვარლამ თოფურიასა და ქალბატონ მერი გუჯეჯიანს შეუკრებიათ და გამოსაცემად მოუმზადებიათ, სწორედ ის წიგნი ქცეულა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად და ძნელად ხელმისაწვდომად.




**„სვანური პოეზიის ტექსტების შერჩევისა და ანალიზის დროს კონსულტაციას გვიწევდა ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქეთევან მარგიანიო“, —** ბრძანებს წიგნის წინასიტყვაობაში ქალბატონი როზეტა. შერჩევა და ანალიზი კი არქაული დროიდან — მითოლოგიური პერსონაჟებისა და წარმართულ ღმერთთა საგალობელ-ლექს-სიმღერებიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეების გმირთა სადიდებელ სიმღერებამდეა მოსული. არც სატრფიალო და საყოფაცხოვრებო ციკლისთვის აუქცევიათ გვერდი და სვანურ-ქართული ტექსტებით წარმოუდგენიათ, რათა ყველა ქართველს საშუალება ჰქონდეს გაითავისოს ამ ამაყი, მხნე, ვაჟკაცი ხალხის შემოქმედება, ბუნებრივი გახდეს ჩვენთვის უძველესი და ულამაზესი კუთხის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი.

სწორედ ამიტომაც შესაძლებლობა გვეძლევა, კიდევ ერთხელ დავტკბეთ „ლილეთი“, „მირანგულათი“, „რიჰათი“ და „ბუბა ქაქუჩელათი“, საბავშვო სიმღერებით, რელიგიური საგალობლებითა და საგმირო ეპოსით.

## ჩემი, შენი, მისი... ჩვენი „სისულელის ტრაქტატი“

### გაგა ნახუცრიშვილი. „სისულელის ტრაქტატი“

ჩემი ახალგაზრდობა. ...ჩემი თბილისი... ყველა ერთმანეთს ვგავართ, როგორც იტყოდნენ „ბორჯომის“ ბოთლებივით, მაგრამ ზოგი მაღლა თახჩაზე დგას, ზოგი ქვევით, ზოგი ცარიელი, ზოგი კვაწარახით სავსე, ზოგიც ძმრით, ანდაც მამის „ენისელის“ ბოთლიდან მოპარული კონიაკით, ნახევრად სავსე, ნახევრად ცარიელი, ზოგს გაფშეკილი ფარვანებითა და მტვრით მოფენია ძირი.

მოკლედ, ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს გავლილი... მადლობა ღმერთს, უმეტესობას ერთნაირი. ამ წიგნის მომწონებელს მაინც... თორემ წაიშლებოდა „თბილისური ცხოვრების ტრაქტატი“.

**„მაპატიეთ, ელენა რუბენოვნა, თქვენი წყენინება არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ ვიმასხრე. კლოუნი მე ვიყავი. ლენინი კი გაცილებით ბოროტი ძია“.**

**„მეც გავიქეცი, თავისუფლებისკენ, რომელიც ომითა და სისხლით დამხვდა, მაგრამ მაინც... სხვანაირად არ შემეძლო“...**




**„ბევრი ვიდავეთ/სისადავე გაქრა დავაში/და გვეგონა ომი თამაში.../რწმენა, გართობა/ეს იყო ჩემი ახალგაზრდობა“.**

ასე მთავრდება გაგას მოთხრობები, ჩანახატები. მთარვდება მათთვის ვისაც თბილისური წესით არ უცხოვრია, დანარჩენებისთვის კი იწყება ნაცნობი მოგონებები. ახლობელი და გათავისებული, თითქოს მწერლისთვის უკარნახია, რადგან თავად წერა დაზარებია. ვილაცისთვის თავდება, ჩვენთვის მარადიულია.

და წერს გაგა ნახუცრიშვილი ჩემს, შენს, თავის ახალგაზრდობაზე, გადაჰყურებს მამიდის სახლის სახურავიდან ჩემს, შენს, თავის ბავშვობას, დაბლა აღარაფერია მისი, რადგან გაფრინდა, მაგრამ მაინც ჩვენია, ...მაღლა შემოდგომის თბილისის ცაა, მისი, ჩემი, შენი ცა... ცა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს, რადგან ჩვენი სულების საბუდარია.

„მე ერთი სულის ამოთქმით წავიკითხე „ინტელექტის“ მიერ რატი ქართველიშვილის რედაქტორობით გამოცემული **გაგა ნახუცრიშვილის „სისულელის ტრაქტატი“**.

ჩემი თაობის „სისულელის ტრაქტატი“, რომლის შექმნაშიც ყველას მიგვიძღვის წვლილი, მაგრამ გაგამ ლამაზად დაგვანახვა.

**მამუკა ვაშაკიძე**

## დიდი ქართველოლოგის ბიუსტი დედაენის ბაღში

გუშინ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ცნობილი ქართველოლოგის მარი ფელისიტე ბროსეს ბიუსტი გახსნა. ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერის ბიუსტი დედაენის ბაღში განთავსდა. მისულ სტუმრებს, თბილისის მერმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა სიტყვით მიმართეს.

თბილისის მერის თქმით, მარი ბროსეს ბიუსტი განახლებული ფორმით არის გაკეთებული.



**„მარი ბროსეს ღვაწლი ჩვენს ქალაქთან და ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში დიდია, როგორც კულტურულ ასევე საგანმანათლებლო სფეროში. მას უკავშირდება ძალიან ბევრი კარგი საქმე. ჩვენი თაობები დღემდე სარგებლობენ მისი შემოქმედებით. სწორედ ამიტომ, მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად, ჩვენ გადავწყვიტეთ ბიუსტის გაკეთება დედაენის ბაღში“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მარი ბროსეს ბიუსტი წლების განმავლობაში თბილისის ერთ-ერთ სკვერში იყო განთავსებული. 2004 წელს ქანდაკება მოიპარეს. ბროსეს ბიუსტის აღდგენა ცნობილი ქართველი მოქანდაკის ჯუნა მიქატაძის მიერ შექმნილი ყალიბის გამოყენებით მოხდა.

მარი ფელისიტე ბროსეს ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. მან შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, აგრეთვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები.

1838 წელს მარი ბროსე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1847-1848 წლებში ბროსემ იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალა და პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა (1849-1851).

დიდი წვლილი შეიტანა ბროსემ ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. მარი ბროსემ გამოაქვეყნა ნაშრომი ქართული „რაინდული რომანის“ თავისებურების შესახებ, დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად 1841 წელს გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“.

მარი ბროსეს ბიუსტის გახსნას მისი შთამომავლებიც დაესწრნენ.

## დავით კინწურაშვილის გადადგომას მოითხოვენ

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის თანამშრომლებმა კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს, ისინი სამხატვრო ხელმძღვანელის გადადგომას ითხოვენ და აცხადებენ, რომ დავით კინწურაშვილს თანამდებობაზე ყოფნისას, არც ერთი ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.



**„მთელი ორი წელიწადი ტყუილებით გაიტანა, მაგრამ არაფერი. ყოველ ორ-სამ თვეში გვქონდა კომუნიკაცია, მაგრამ ეს კომუნიკაცია მთავრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ტყუილებით და დაპირებებით, არაფერი არ კეთდებოდა, რამაც წაიყვანა თეატრი უკან. ამას ჩვენ ვაპროტესტებთ და სანამ არ დატოვებს დავით კინწურაშვილი თანამდებობას, მანამ ჩვენ სეზონს არ დავხურავთ და არ მივიღებთ სპექტაკლებში მონაწილეობას,“** — აცხადებენ აქციის მონაწილეები.



# ტრაგედია ნიცაში!!!

სატვირთო მანქანა შეიჭრა ხალხში ინგლისის სანაპიროზე ფეიერვერკის დროს ბასტილიის აღების დღესასწაულთან დაკავშირებით. მძღოლმა გაიარა ასობით მეტრი, იგი პოლიციამ მოკლა.

## მსოფლიოს ლიდერები ნიცაში მომხდარ ტერაქტს ეხმაურებიან

**მსოფლიოს** ლიდერებმა ნიცაში 14 ივლისს გვიან ღამით მომხდარი თავდასხმა დაგმეს და ფრანგ ხალხსა და ხელისუფლებას სამძიმარი გამოუცხადეს.

ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაქ ობამამ** ამერიკელი ხალხის სახელით დაგმო ის, „რაც დიდი ალბათობით, არის ტერაქტი, რომლის შედეგად დაიღუპა ათობით უდანაშაულო მოქალაქე".

მისივე თქმით, ის საფრანგეთში გაგზავნის ჯგუფს, რომელიც საფრანგეთს მომხდარის გამოძიებაში დაეხმარება.

ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერის** თქმით, ევროკავშირი ტერორიზმთან ბრძოლას როგორც შიგნით ისე, მის ფარგლებს გარეთ განაგრძობს.

თავის მხრივ ევროსაბჭოს თავმჯდომარე **დონალდ ტუსკმა** აღნიშნა, რომ ევროპა ერთიანია ფრანგ ხალხთან და მთავრობასთან „ძალადობასა და სიძულვილთან" ბრძოლაში.

ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** შოკირებული და დამწუხრებულია ნიცაში მომხდარი ტერაქტის გამო.

„ჩემი ფიქრები ახლა დაღუპულთა ოჯახებთან და ახლობლებთან და ყველასთანაა, ვინც დაზარალდა. ეს თავდასხმა მიმართული იყო უდანაშაულო ადამიანების და იმ ძირეული ფასეულობების წინააღმდეგ, რომლებსაც ნატო იცავს. მაგრამ ტერორიზმი დემოკრატიას, თავისუფლებასა და ჩვენ ღია საზოგადოებას ვერასდროს დაამარცხებს. ფრანგ ხალხს გულითად სოლიდარობას ვუცხადებთ", — ნათქვამია სტოლტენბერგის განცხადებაში.

ნიცის ტერაქტს რუსეთის ლიდერი **ვლადიმირ პუტინიც** გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ის შეძრწუნებულია ამ დანაშაულის სისასტიკითა და განსაკუთრებული ცინიზმით, „რომელიც საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე მოხდა. მორიგჯერ დავრწმუნდით, რომ ტერორიზმისთვის ადამიანური მორალი გაუგებარია, მისი მსხვერპლი ხდება აბსოლუტურად უდანაშუალო ადამიანები, მშვიდობიანი ხალხი, მათ შორის ბავშვები და ქალები".

გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** განცხადებით, გერმანია ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში საფრანგეთს გვერდში უდგას.

„ეს საზარელი თავდასხმა მოხდა ფრანგების ეროვნულ დღესასწაულზე — დღესასწაულზე, რომელიც სიამაყის დღეა, მაგრამ ახლა დიდი გლოვის დღედ იქცა", — განაცხადა მერკელმა. შეგახსენებთ, რომ ბოლო მონაცემებით, ნიცაში თავდასხმის შედეგად 84 ადამიანი დაიღუპა.

## ნევადაში უცნობმა ავტომობილში თვითაფეთქება მოაწყო

პატარა ქალაქ პანაკში 13 ივლისს საღამოს ერთი-მეორის მიყოლებით ორი აფეთქების ხმა გაისმა. უცნობმა ავტომობილში მოაწყო თვითაფეთქება შენობის წინ, რომლის შიგნითაც ასევე აფეთქდა ბომბი. სახლში ცხოვრობდა ხუთკაციანი ოჯახი. ქალმა და ორმა გოგონამ, რომლებიც აფეთქების დროს შენობაში იმყოფებოდნენ, მოახერხეს გადარჩენა.

## ჩრდილოეთი კორეის დიპლომატები აფრიკიდან მარტორქის რქების კონტრაბანდაში ამხილეს

ამის შესახებ საუბარია ტრანსეროვნულ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გლობალური ინიციატივის ანგარიშში. კერძოდ, 2015 წლის მაისში მოზამბიკის დედაქალაქ მაპუტუში დააპატიმრეს ჩრდილოეთი კორეის დიპლომატი და ინსტრუქტორი. მათ ავტომობილში აღმოაჩინეს მარტორქის 4,5 კილოგრამი რქები და 100 ათასი დოლარი.

## აშშ-ის კონგრესის კომიტეტმა მოიწონა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება

აქტი უკრაინისთვის სტაბილურობისა და დემოკრატიის შესახებ მიღებული იქნა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის წევრთა უმრავლესობით. როგორც კანონპროექტის ავტორმა ელიოტ ენგელმა განაცხადა, კანონპროექტი მიზნად ისახავს უკრაინის უფლებათა მხარდაჭერას თავდაცვაზე და მან ხელი უნდა შეუწყოს მისთვის ყირიმის დაბრუნებას.

## სალვადორში დეპუტატებმა წამოაყენეს წინადადება, გაზარდონ სასჯელი აბორტისათვის 50 წლამდე პატიმრობით

ოპოზიციონერებმა ადგილობრივ კონგრესში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს აბორტისათვის სასჯელის რადიკალურ გამკაცრებას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალი, რომელიც აბორტს იკეთებს, ეწევა რისკს, აღმოჩნდეს ციხეში 2-დან 8 წლამდე. ოპოზიციონერები კი სთავაზობენ, გაუთანაბრონ აბორტი განზრახ მკვლელობას განსაკუთრებული სიმკაცრით.

## მედვედევი მერკელთან ერთად თითქმის ერთი საათის განმავლობაში განიხილავდა სიტუაციას უკრაინაში და რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულებას ევროკავშირთან

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს შეხვდა „აზია-ევროპის" 11-ე სამიტის ფარგლებში, რომელიც ულან-ბატორში გაიმართა. პოლიტიკოსების მოლაპარაკება თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. კერძოდ, დმიტრი მედვედევმა და ანგელა მერკელმა განიხილეს სიტუაცია უკრაინაში და მინსკის შეთანხმებათა ორმხრივი შესრულების აუცილებლობა.



საქმე №1/45-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 14 ივლისი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი"**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: თამარ შუკაკიძე-ჰოოგე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს მიერ 2016 წლის 8 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 13 მაისს შპს „სმარტ კრედიტსა" და თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს შორის დაიდო №051401259 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1150 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 11.13.2014წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ როგორც რეგისტრაციის მიხედვით ისე ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს ვერ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგე არც რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე და არც მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს (პირადი №01029011805) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის

საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 8 აგვისტოს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს მიმართ.

5. თამარ შუკაკიძე-ჰოოგეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

## ფეხბურთი

# ქართული ზავი ევროპაში

**ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ალმაათის „ქაირათი“ თელ-ავივის „მაკაბის“ დაუწყვილდა. ამ ერთი შეხედვით რიგით შეხვედრას ჩვენთვის განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, რადგან ყაზახურ კლუბს კახი ცხადაძე წვრთნის, ხოლო ებრაელებს — შოთა არველაძე.**

ალმაათაში კოკისპირულ წვიმაში გამართული ამ მეტოქეთა პირველი მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა (გოლები: არშავინი; ბენიაუნი), ასე რომ, ორრაუნდიანი დუელის ბედი ერთ კვირაში ისრაელში დანიშნულ საპასუხო ბრძოლაში გადაწყდება.

იმავე დღეს ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით ისახელა თავი ნიკა კვეკვესკირმა, რომელიც აზერბაიჯანულ „გაბალაში“ თამაშობს. ქართველი ლეგიონერის გუნდმა უნგრეთში 2:1 სძლია ბუდაპეშტის მტკ-ს.

ესტონეთში „ლევადიასთან“ 1:3 წაგებულ შეხვედრაში პრაღის „სლავიას“ მწვრთნელებმა ლევან ყენია მინდორზე მე-60 წუთზე შეუშვეს.

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# ისლანდიური სასწაული გრძელდება

**ყველა ასაკისა თუ ხასიათ-გუნების ადამიანი გააოცა ისლანდიის საფეხბურთო ნაკრების წარმატებებმა აწდასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე. სხვანაირად აბა როგორ იქნებოდა? ისლანდიის ნაკრებმა ხომ ჭეშმარიტი სასწაული მოახდინა და მსგავსი მიღწევები ნებისმიერ პატარა ქვეყნისათვის დიდი სტიმულია.**

ისლანდიის ნაკრების წარმატება ამ ქვეყნით მრავალი ადამიანის დაინტერესების მიზეზი გახდა. თურმე, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ტურისტული სააგენტოები ისლანდიაში წასვლის მსურველ ადამიანებს ვერ აუდიან და ეს კოხტა, გეიზერებით დახუნძლული კუნძული ცხოველი ინტერესის საგანი შეიქნა.

მოგზაურები ასევე ინტერესდებიან ისლანდიელი ქალებით, რომლებიც შესახედად ჰაი ჰაი, რომ მშვენივრად გამოიყურებიან. თუმცა, როგორც ინტერნეტი გვამცნობს, ისლანდიელ გოგონასთან ჩახუტება დღის პირველ ნახევარში ჯობია, რადგან საღამოობით მთელი კუნძული ბარებშია მოსკუპებული და შემთვრალი ისლანდიელი გოგონას „დასათრევად“ მთვრალ ადგილობრივ ჯეელებთან მოგიწევთ ჭიდილი. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, საამო საქმე ნამდვილად არ იქნება.

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ოლიმპიური ჩემპიონი

# ათენში გატეხილი ნავსი

**ქართველი სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით 1996 წლიდან მონაწილეობენ. სპორტის ამ ფესტივალს ატლანტამ უმასპინძლა. ქართველთაგან 36-მა ქალ-ვაჟმა იასპარეზა. მათგან მხოლოდ სოსო ლიპარტელიანმა (ძიუდო) და ელდარ კურტანიძემ (თავისუფალი ჭიდაობა) მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. ოთხი წლის შემდეგ ისევ 36-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. „ბრინჯაოს ხანას“ ვერც იქ გავცდით — მესამე ადგილებზე გავიდნენ გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), აკაკი ჩაჩუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ვლადიმერ ჭანტურია (კრივი), მუხრან ვახტანგაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა).**

**XXVIII ოლიმპიური თამაშები ათენში გაიმართა. საბერძნეთის დედაქალაქში 33 ქართველი სპორტსმენი ჩავიდა. ჩემპიონები გახდნენ ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) და გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), ხოლო ნესტორ ხერგიანმა (ძიუდო) და რამაზ ნოზაძემ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.**

„ოლიმპიკ ჩამპიონ ზურაბ ზვიადაური!“ — დიქტორი ქალბატონის მჭექარე ხმას მაყურებელთა მქუხარე ოვაცია მოჰყვა. „ანო ლიოსიოს“ ოლიმპიური სპორტის სასახლის ექვსი ათასამდე გულშემატკივრით გადაჭედილი ტრიბუნები ერთიანად ფეხზე წამოიმართა. დამბურძგლა. საოცარი სანახავი იყო ეს. მსგავსი რამ, რაც იმ დარბაზში ვიგრძენი, არასდროს განმიცდია.

2004 წლის 18 აგვისტო ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში — იმ დღეს ათენში ახმეტელმა ძიუდოისტმა ზურაბ ზვიადაურმა ზედიზედ დაამარცხა რამდენიმე მეტოქე და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. დარბაზში ქართული ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი აჟღერდა. თორმეტი წელიწადი ელოდა ჩვენი ქვეყანა ამ ბედნიერ წუთებს...

ერთი პატარა გადახვევა: ათენში, „ანო ლიოსიოს“ დარბაზში, სადაც ძიუდოისტთა ორთაბრძოლები გაიმართა, არც ერთი პაექრობა არ გამიცდენია. მეტად შთამბეჭდავი იყო 17 აგვისტო. საბერძნეთის ეროვნული დროშების ტყეს დაეფარა ტრიბუნები. ტატამის კუთხეში ლურჯკიმონოიანი ბრგე ვაჟცი რომ გამოჩნდა, უფრო მეტად აბღავლდა დარბაზი; ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა გულშემატკივრებს. შუამავალი არბიტრის ნიშანზე ჯიქურ ეკვეთა მეტოქეს. სამი წუთიც არ იყო გასული, სუფთა გამარჯვება რომ მოიპოვა. მერე ზედიზედ სძლია არგენტინელ, კორეელ და რუს მოჭიდავეებს. ფინალში შავი დღე აყარა უკრაინელ რომან გონტიუკს — ზედიზედ აართვა იუკო, ვაზარი და ბოლოს 2 წუთსა და 6 წამში იპონით გაიმარჯვა. ქომაგთა ტაშის გრიალში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ილიას ილიადისი, ბერძენთა ახალი კერპი, რომელსაც 15 წელიწადი საქართველოში ჯარჯი ზვიადაურად იცნობდნენ. ეს იყო ერთგვარი ბიძგი და მოტივაცია ბიძაშვილისთვის, რომელსაც მეორე დღეს უნდა დაემშვენებინა მკერდი ოქროს მედლით...

წილისყრამ გარკვეულწილად დაინდო ზურაბ ზვიადაური — კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰი ტაე ჰვანგი, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მარკ ჰუზინგა, უკრაინელი ევროპის ჩემპიონი ვალენტინ გრეკოვი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი სერგეი კუხარენკო, იაპონელი ჰიტოში იზუმი, ესპანელი დავით ალარსა და კანადელი კეიტ მორგანი მეორე ჯგუფში მოხვდნენ, თუმცა, არც ზვიადაურს ჰყოლია ნაკლებად ტიტულოვანი მეტოქეები.

ევროპის 2004 წლის ჩემპიონი იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე ტატამზე საკმაოდ თავდაჯერებული გავიდა. ეტყობა, კონტინენტის პირველობაზე სახელოვანი ფალავნების ძლევამ გაათამამა. ორ-სამჯერ სარმის გამოდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აი, 48-ე წამზე კი ზვიადაურმა კისრულით გადმოიღო ჩემპიონი და ისე დაახეთქა ტატამზე, რომ იტალიელს წამოდგომა გაუჭირდა.

მეორე წრეში ზურაბი რუსეთელი ხასამბი ტაოვის პირისპირ წარდგა. ჩრდილოელმა მეზობელმა კონტინენტის პირველობაზე სძლია ჩვენებურს, ამიტომ ზურაბს მასთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. მართლაც, ორთაბრძოლის დამთავრებამდე 44 წამით ადრე ლამაზი გდებით წარმატებას მიაღწია.

ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე ჩვენებურს მსოფლიოს ექსჩემპიონი და სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ფრედერიკ დემონფოკონი გადაეღობა, სწორედ ის ფრანგი, 2001 წელს მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ოქროს მედალი რომ „აართვა“. ხუთწუთიანი პაექრობა უშედეგოდ დასრულდა. დამატებითი დროის მე-2 წუთზე ზვიადაურმა მომგებიანი ქულა აართვა დემონფოკოს.

ნახევარფინალში ინგლისელ ვინსტონ გორდონთან ზურაბმა 3 წუთსა და 55 წამში მოამთავრა საქმე. მეორე ნახევარფინალში იაპონელმა ჰიტოში იზუმიმ წინა წლის კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰი ტაე ჰვანგს სძლია. ფინალური შეხვედრა 3 წუთსა და 3 წამს გაგრძელდა. ქართველმა ფალავანმა ბეჭებით გააკრა მეტოქე ტატამს და ასე ნანატრი გამარჯვება მოგვიტანა.

— ჯერაც ვერ ვიჯერებ, ოლიმპიური ჩემპიონი თუ ვარ, გარეგნულად არც არაფერი შეცვლილა ჩემში, თითქოს რიგითი შეჯიბრება მოვიგეო, — მითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ზურაბმა, რომელიც საუბრისას ზოგჯერ თვალს ოქროს მედლისკენ გააპარებდა. — აბა, ახმეტაში იქნება ახლა ლაღობა. დიდი მადლობა ყველას, ვინც აქ, ამ დარბაზში და იქ — საქართველოში მიქომაგა.

**— კვარცხლბეკზე მდგარს, უპირველესად, რა გაგახსენდა?**

— ის დღე, ნახერხმოყრილ სარბიელზე პირველად რომ გავედი. 17 წელიწადი ახმეტაში ვიზრდებოდი, ჭიდაობას ძმებმა მაზიარეს — ისინი მავარჯიშებდნენ, შემდეგ გუგული აბრამიშვილთან მიმიყვანეს. ახმეტაში დღესასწაულები და შაბათ-კვირა ისე არ ჩაივლის, ქართული ჭიდაობა რომ არ გაიმართოს, ჰოდა, მეც ვჭიდაობდი, ზოგს ვერეოდი, ზოგიც მჯაბნიდა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში კადეტთა ევროტურნირზე მესამე ადგილი დავიკავე, ძიუდოში ვარჯიში უფრო სერიოზულად დავიწყე. მაშინ 15 წლის ვიყავი. უფროსების საქართველოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი რომ მოვიპოვე, ამან საკუთარი ძალების რწმენა შემმატა.

მას შემდეგ ზურაბ ზვიადაურმა არაერთ წარმატებას მიაღწია: ორგზის ევროპის ჩემპიონია (2002, 2003 წ.წ.) გუნდურში, ხოლო პირად პირველობაზე 2002 წელს მესამე ადგილი დაიკავა. იმავე წელს გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, 2000 წელს კი ახალგაზრდებში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

**— ვისთან გაგიჭირდა მოგება ყველაზე მეტად?**

— როგორც ნახეთ, იოლი ორთაბრძოლა არც ერთ მეტოქესთან არ მქონია. შედარებით ნაკლები ძალისხმევა დამჭირდა ფრანჩესკო ლეპრეს დასამარცხებლად. დანარჩენებთან კი რა გითხრათ.

**— ალბათ, უფრო დემონფოკოსთან.**

— დიახ. იგი ძალიან ძლიერი სპორტსმენია. თან სამი წლის წინათ, როგორც გითხარით, მასთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წავაგე. ამჯერად მარცხის უფლება არ მქონდა. იგი ჭიდაობის იმიტაციას ქმნიდა, თორემ სინამდვილეში ორთაბრძოლას გაურბოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსაჯებმა გამაფრთხილეს. მაინც მჯეროდა, რომ არ წავაგებდი. მადლობა ღმერთს, რომ არბიტრები გონგამდე 6 წამით ადრე მიუხვდნენ და გააფრთხილეს. დამატებით დროში იუკო ავართვი და მოვიგე.

**— მერე იყო ვინსტონ გორდონი. მართალი გითხრა, მეეჭვებოდა, მასთან თუ გაიმარჯვებდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შუამავალ არბიტრად რუსი ტროფიმოვი დანიშნეს. მან ხომ ქევხიშვილს წააგებინა.**

— გორდონისთვის აქამდე ორჯერ მქონდა მოგებული — ერთხელ ევროპის პირად პირველობაზე, მეორედ ლონდონში — გუნდურ ჩემპიონატზე, მაგრამ ეს მხოლოდ სტატისტიკაა, ბევრს არაფერს ნიშნავს. იგი ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენია, თან — უხერხული მეტოქე. შეჯიბრების წინ ფეხიც ძალიან ამტკივდა. ჩვენმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა მითხრა, გამაყუჩებელს გაგიკეთებო, მაგრამ უარი ვუთხარი, მხოლოდ ყინულებს დავჯერდი. ინგლისელს ილეთის გაკეთება არც უცდია, ღონით ფიქრობდა ჩემს დაჩაგვრას. მეც არ დავუდე ტოლი და ოთხჯერ გავაფრთხილებინე მსაჯებს. შეხვედრის წინ ჩემთან ანატოლი ტროფიმოვი მოვიდა და მითხრა, შუამავალ მსაჯად მე არ შემიშვებენ, აზიელი ან ბრაზილიელი იქნება და, აბა, შენ იციო. თითქოს წინა დღის შეცდომის გამოსყიდვას ცდილობდა. მოხდა ისე, რომ ტროფიმოვი მაინც დანიშნეს შუამავალ მსაჯად და მეც იმედი მომეცა, რომ არ დამჩაგრავდნენ. მეოთხე გაფრთხილება სულაც არ იყო ტროფიმოვის დამსახურება. წითელ ხაზზე მეტოქე ხუთ წამს შევაჩერე, რომ ვნახე, არ აფრთხილებდნენ, ხაზიდან გავიყვანე. ფაქტის წინაშე არბიტრებიც უძლური იყვნენ.

**— დაბოლოს, ფინალურ ორთაბრძოლასა და ზეაღმართულ საჩვენებელ თითზე მინდა გკითხო...**

— 2002 წელს იზუმისთან ძიგარო კანოს მემორიალზე დავმარცხდი, მაგრამ ის ჩვეულებრივი ტურნირი იყო, აქ კი — ოლიმპიური თამაშების ფინალი. უბრალოდ, წაგების უფლება არ მქონდა. უკვე გითხარით, რომ ზედიზედ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტი პაექრობები დავთმე. მესამეში დამარცხებას არ ვაპირებდი. იაპონელმა ერთ-ერთ მომენტში გარესარმა სცადა. ამ დროს საოცარი ძალა ვიგრძენი, დრო ვიხელთე, ფეხიდან ავიყვანე და ბეჭებით ტატამს გავაკარი.

რაც შეეხება ზეაწეულ საჩვენებელ თითს, ვინც იმ დღეს მიყურებდა, იმ ჟესტით მათ ვუთხარი — ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი. ეს იყო ჩემი ემოციის გამოხატვაც. ბავშვობიდან მიმაჩვიეს საკუთარი თავის მოთოკვას — ჩემი მამიდაშვილი თემურ შეთეკაური, რომელიც ფინალის დღეს სპეციალურად ჩამოფრინდა ესპანეთიდან ათენში, ყოველთვის მეუბნებოდა, მოგების სიხარული ზედმეტად არ გამოხატო, ვინმემ ცუდად არ გაიგოსო. ჰოდა, მეც მივეჩვიე. მართალია, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარს გარეგნულად არაფერი მემჩნეოდა, მაგრამ გენახათ, გულში რა ტრიალებდა. მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. მე, ახმეტელი ბიჭი, ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. ეს უდიდესი ბედნიერებაა. ჩემი გამარჯვება მთელ საქართველოს ეკუთვნის, რადგან ზვიადაურის ჩემპიონობა ქართული გენის ძალის წარმოჩინებაა...



იმ დაუვიწყარი დღეებიდან 12 წელი მიილია, მაგრამ ზურაბ ზვიადაურის გამარჯვება, დარწმუნებული ვარ, ყველას გუშინდელივით ახსოვს.

**ვაჟა დანელია**

### სიხარულის ცრემლებმა ზღვარი არ იცის

*ამბობენ, ზღვარგადასული არაფერი ვარგაო. თურმე, გააჩნია რა შემთხვევაში. არ ვარგა კი არა, დღესაც ვერ გამოვსულვარ იმ შთამბეჭდავი წუთებიდან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეცკორესპონდენტის,*



*ჩემი ახალგაზრდა მეგობრისა და კოლეგის ვაჟა დანელიას ზღვარგადასულმა სიხარულმა რომ მომგვარა. რანაირად შეიძლებოდა, სიხარულისთვის ზღვარი დაგედო იმ წუთებში, როდესაც ზურაბ ზვიადაურის სიმარჯვემ პირველი ოქროს მედალი გვაჩუქა ათენის ოლიმპიადაზე. ვის არ გაუხარდა ეს, მაგრამ უსაზღვრო სიხარულის გამოხატვაში ქართველთაგან ვაჟა დანელიას ტოლს ვერავინ დაუდებს. პირადად მე (დარწმუნებული ვარ, უამრავმა ტელემაყურებელმაც) ზურაბ ზვიადაურის ბრწყინვალე გამარჯვება მხოლოდ მაშინ დავაფიქსირე (როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ სხვა უკეთესი ვერ შემირჩევია), როდესაც ვაჟა დანელია სკამიდან წამოფრინდა და აღტკინებულმა გამოხატა „ოქროს წუთები“. მომეჩვენა, მან ზურაბ ზვიადაურს რამდენიმე წამით დაასწრო — ვიდრე სახელოვანი ფალავანი იაპონელ მეტოქეს ტატამზე დასცემდა, ვაჟა დანელია უკვე ზეიმობდა გამარჯვებას.*

*ვაჟა დანელიამ მაშინ პირველმა გამოხატა მთელი საქართველოს სიხარული. თვით ზურაბ ზვიადაურის მწვრთნელს — ჩვენს სათაყვანო შოთა ხაბარელსაც კი დაასწრო ამაში.*

*მაინც, სად შეასწრო თვალი ტელეოპერატორმა? სად ეცალა ამისთვის? — ამგვარი უნიკალური და დაუვიწყარი კადრები რომ გვაჩუქა.*



*ქართველი ტელემაყურებლის გულწრფელი მადლობა არა მარტო გაზეთის სპეცკორესპონდენტს, იმ ტელეოპერატორსაც ეკუთვნის.*

*გადის დრო და ხშირად მიდგას თვალწინ ვაჟა დანელიას დაუოკებელი ხტომა და მოზღვავებული სიხარულის ცრემლები. მოდი და თქვი, ზღვარგადასული არაფერი ვარგაო. ამგვარი სიხარულის ცრემლები ღმერთმა ნუ გამოგვილიოს ქართველებს.*

**რევაზ ჩხარტიშვილი,**
*მწერალი, პროფესორი*

სულიერება

# „დიდი კანონის“ შემქმნელი წმინდა ანდრია კრეტელი



**17 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს კრეტელის კანონის შემქმნელს წმინდა ანდრიას.**

...წმინდა ანდრია ცნობილია, როგორც მქადაგებელი და საეკლესიო პოეტი. მან მრავალი შთაგონებული ლოცვა და გალობა შეადგინა და სინანულის დიდი კანონი დაწერა, რომელიც ტაძრებში დიდ მარხვაში იკითხება (ანდრია კრეტელის კანონი).

წმინდა ანდრია წარმოშობით დამასკოდან იყო. თურმე ის 7 წლამდე მუნჯი ყოფილა და მხოლოდ წმინდა საიდუმლოთა მიღების (ზიარების) შემდეგ ამოუდგამს ენა. ღმერთის მსახურების სურვილის გამო, ის 14 წლის ასაკში იერუსალიმში, წმინდა საბას (განწმენდილის) სავანეში სამოღვაწეოდ გაემგზავრა. სავანეში თავისი სიმშვიდით, გონებით და მკაცრი ცხოვრებით გახდა ცნობილი. წმინდა საბა განწმენდილის სავანიდან იერუსალიმის საპატრიარქოში, წერილების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს.

საგულისხმოა ისიც, რომ წმინდა ანდრია კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრებას, იერუსალიმის პატრიარქის მოსაყდრის (ტახტის მცველის) ხარისხში დაესწრო. კრების შემდეგ იგი სოფიას ტაძარში დიაკონად აკურთხეს და გარკვეული ხანი ობლებისა და მოხუცების მზრუნველობას ხელმძღვანელობდა. იმპერატორ იუსტინეს დროს, წმინდა ანდრია კრეტის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს... წმინდანი 712 წელს გარდაიცვალა.

**გიული ლიპარტია**

სანთელი

# გურამ ჯაფარიძე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ფონდის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკი **გურამ ჯაფარიძე**.

გ. ჯაფარიძე დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონული ტრანსპორტის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე. 1963 წელს ჩაირიცხა მოსკოვის საკავშირო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო მუშაობაში. ჯერ იყო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ ლაბორატორიის გამგე, ხოლო 1979 წელს ინიშნება დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, 2000 წლიდან გარდაცვალებამდე აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანია.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გ. ჯაფარიძის სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობა აღნიშნულ თანამდებობაზე. მისი სამეცნიერო სფერო იყო სოფლის ელექტრიფიკაციის პრობლემები, რასაც 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, აქედან 5 მონოგრაფია.

სადაც კი იმუშავა გ.ჯაფარიძემ, ყველგან პატივისცემა და დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი მეტად კეთილი, მიმნდობი და უღალატო პიროვნება იყო, რისთვისაც კოლეგებისა და მეგობრების უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა. გ. ჯაფარიძე გამორჩეული და მოსიყვარულე მეოჯახე იყო. მან შვილების სახით ღირსეული შთამომავლობა დატოვა. გ. ჯაფარიძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი ახლობლებისა და კოლეგებისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება**

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი**

**აცხადებს ღია კონკურსს**

**აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად**

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა
პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალობით

- **2 პროფესორი;**
- **2 ასოცირებული პროფესორი.**

საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 5 სექტემბრიდან 2016 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 13 სექტემბერს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 19 სექტემბერს.

**დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე** – www.gttu.edu.ge

**ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91.**

გახსენება

# გურამ მგელაძე



ქართული ზეცის საფირონს, უნაპირო სულეთის ზღვას 18 ივნისს **გურამ მგელაძის** სული შეუერთდება და მარადისობის მკვიდრი გახდება. ქრისტიანული წესით ორმოცზე ჩვენ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ტრადიციების თაყვანისმცემელ არაჩვეულებრივ პიროვნებას, შესანიშნავ მამასა და ბაბუას, ღირსეულ მეუღლესა და კვების მრეწველობის დარგის გამორჩეულ პროფესიონალს, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ქვეყანაზე და ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან.

ნათელში იყოს მისი სული.

**მეგობრები საქართველოს პურის მრეწველთა კავშირიდან.**



**აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ღვაწლმოსილი მედიცინის მუშაკი**

**მანანა სართანია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

სამეზობლო

# საქართველო და თურქეთი სერიოზული სავაჭრო პარტნიორები არიან

**საქართველოში საზოგადოებას ხშირად საკმარისი ინფორმაცია არა აქვს მეზობელი ქვეყნების, ეკონომიკის, თანამშრომლობის დღევანდელი დღისა და სამომავლო გეგმებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პუბლიკაციები „საქართველო და მეზობლები“ ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო რესურსია. გუშინ ქართველმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, თურქეთისა და აშშ-ის ელჩებმა საქართველოში საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის შესახებ მომზადებული ანგარიში მოისმინეს და ამ თემაზე საინტერესო დისკუსია გამართეს.**

დისკუსიის მონაწილეები ეთანხმებიან აზრს, რომ თურქეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკაა. მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს შორის, მთლიანი შიდა პროდუქტის (მიმდინარე ფასებში) მიხედვით, ის მე-18, ხოლო ნომინალური მშპ-ის მიხედვით, მე-17 ადგილს იკავებს. შესაბამისად, როგორც დიდი ქვეყანა, დიდი ეკონომიკითა და დიდი სამხედრო ძალით შავი ზღვის რეგიონსა და ევროპაში, თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია საქართველოსთვის. თურქეთის ევროპული იდენტობა, აზიური ტრადიციები და გეოპოლიტიკური მდებარეობა მას, როგორც პარტნიორს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ანგარიშში, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა წარმოადგინა, აღნიშნულია, რომ დღეისათვის საქართველოსა და თურქეთს შორის 76 ხელშეკრულება და შეთანხმებაა გაფორმებული, რომლებიც, პრაქტიკულად, ყველა სფეროს მოიცავს. მათ შორის აღსანიშნავია ენერგეტიკისა და ტრანსპორტის მიმართულებები, ასევე სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის მოგზაურობა უკიდურესად გამარტივებულია და საზღვრის გადასაკვეთად საჭიროა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა. ამჟამად საქართველოში 3 200-ზე მეტი თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანია ოპერირებს.

თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. 2016 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებით, თურქეთი, ექსპორტის მიხედვით, ჩინეთის შემდეგ საქართველოს მეორე ყველაზე მსხვილი პარტნიორია – მისი წილი მთლიან ექსპორტში 10.5 % -ია. თურქეთი ასევე მეორე პოზიციას იკავებს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის იმპორტის მიხედვით – მთლიანი იმპორტის 15.3 % (იმპორტის მიხედვით, პირველ ადგილს იკავებს კანადა – მთლიანი იმპორტის 15.7%, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ეს მაჩვენებელი ძირითადად კანადიდან დიდი რაოდენობით იმპორტირებულმა C ჰეპატიტის მედიკამენტებმა განაპირობა).




**1996 წლიდან საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში თურქული პირდაპირი ინვესტიციების წილი მხოლოდ 7.6 %-ს შეადგენდა. 2012 წლის დასაწყისში თურქული პირდაპირი ინვესტიციები 320,8 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი მოცულობის 6.01 % იყო. იმ ხანებში ინვესტიციები თურქეთიდან ძირითადად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (108.3 მილიონი აშშ დოლარი – სექტორში განხორციელებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 7.5 %), მშენებლობის (57.3 მლნ აშშ დოლარი - 10.3 %), გადამმუშავებელი მრეწველობის (42.3 მლნ აშშ დოლარი – 7.5 % ), სასტუმროებისა და რესტორნების (24.1 მლნ აშშ დოლარი – 11.5% ) მიმართულებით განხორციელდა.**

ბოლო წლების განმავლობაში, თურქეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება და, 2016 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით, მთლიანი გზავნილების 7.4 %-ს შეადგენს.

ყოველწლიურად საქართველოს თურქეთიდან, საშუალოდ, 2,7 მილიონი ვიზიტორი სტუმრობს. ცხადია, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი თანამშრომლობის სფეროა ენერგეტიკა, გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირება. ამჟამად თურქეთსა და საქართველოს ორი ძირითადი მილსადენი აკავშირებს – სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი გაზის მილსადენი (ასევე ცნობილი როგორც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი ან შაჰდენიზის გაზსადენი) და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ეს თანამშრომლობა საქართველოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების სუბიექტად აქცევს. ყველაფერი ზემოთქმული კი მოწმობს, რომ ეს თანამშრომლობა ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოსთვის – ცხადია, ისევე როგორც თურქეთისთვის – უდავოდ მეტად საინტერესო გახლავთ.

**ასლან მაკარიძე**

# ვინ მოკლა პავლიკ მოროზოვი?




**სვერდლოვსკის ოლქის სოფელ გერასიმოვკის მთავარი ღირსშესანიშნაობა პავლიკ მორროზოვის მუზეუმი და საფლავია, რომელთა სანახავად იქ წელიწადში სამ ათასზე მეტი კაცი ჩადის.**

ბოლო დრომდე 13 წლის პავლიკ მორროზოვის მკვლელობის ორი ძირითადი ვერსია არსებობდა: პირველით მან დააბეზღა თავისი მამა, კულაკი ტროფიმი, შემდეგ სხვებიც, ვინც სახელმწიფოს ხორბალს უმალავდა. პაპამ და ბიძებმა ეს მას არ აპატიეს, ტყეში ჩაუსაფრდნენ და ძმასთან ერთად ყელი გამოჭრეს. ბავშვის პაპა, ბიძები და ნათესავები საჩვენებლად გაასამართლეს, ზოგს უშუალოდ მკვლელობა დააბრალეს, ზოგს დანაშაულის დაფარვა, რის გამო ერთნი სიკვდილით დასაჯეს, სხვებს დიდი ხნით პატიმრობა მიუსაჯეს.

მეორე ვერსიით პავლიკ მოროზოვი ოგპუ-ს თანამშრომლებმა მოკლეს, ვინაიდან რეპრესიების გასამართლებლად საჭირო იყო გმირის სახის შექმნა.

გერასიმოვკაში პავლიკ მოროზოვის მუზეუმის დირექტორის ნინა კუპრაცევიჩის აზრით კი ორივე ვერსია მცდარია, ბავშვები სულ სხვა ხალხმა დახოცა. მისი თქმით, იმ დღეს ძმები ტყეში კენკრის დასაკრეფად წავიდნენ, სადაც მთელი სოფელი დადიოდა და ბავშვების ცხედრების დათვალიერების ოქმში წერია, რომ ისინი დანებით იყვნენ დასერილები, ხელები დაჭრილი ჰქონდათ, როგორც ჩანს ისინი ასე დანების აცილებას ცდილობდნენ და შველას ითხოვდნენ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ეს არ იყო განზრახ მკვლელობა. მუზეუმის დირექტორის აზრით, ბავშვები უკიდურესად შეშინებული ადამიანების მოკლულია, რომლებიც, სავარაუდოდ, გაკულაკებული გადასახლებული გლეხები იყვნენ, რომლებიც ხელისუფლებას ტყეში მიწურებში ემალებოდნენ. იმის შიშით, რომ ბავშვები გასცემდნენ, მათ ეს საშინელი მკვლელობა ჩაიდინეს...

**ნინო ალექსანდრია**

## „თბილისის მიკროავტობუსის“ განცხადება

გუშინ დილით კომპანიის დიღმის ავტოპარკში ადგილი ჰქონდა 32-ე ნომერი მიკროავტობუსის მძღოლის მხრიდან საზოგადოების მოწყობის მცდელობის ფაქტს.კერძოდ, დილით სამსახურში მისულ მძღოლს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელმა, რომლის ვალდებულებებშიც შედის მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებაზე ზრუნვა, მძღოლს ალკოტესტის გავლა მოსთხოვა, მძღოლმა მოთხოვნის შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რის შემდეგაც ორ მხარეს შორის წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია, მძღოლმა ჩააყენა მიკროავტობუსი ავტოპარკის გასასვლელში, არ მისცა სხვა მძღოლებს ხაზზე სამუშაოდ გასვლის საშუალება და მომხდარის ე.წ. გაფიცვად ინსპირირებას შეეცადა. ფაქტზე კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიმდინარეობს მოკვლევა, ამოღებულია და იშიფრება ვიდეოჩანაწერები, მოკვლევის დასრულების შემდეგ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიმართ გატარებული იქნება კომპანიის შიდა წესდებით გათვალისწინებული სანქციები.



## ურობოროსის ეფექტი

**ზოოპარკებში ტერარიუმების მნახველები ზოგჯერ იმის მომსწრენი გამხდარან, რომ გველი საკუთარ კუდს კბენდა.**

სერპენტოლოგები ამასთან დაკავშირებით განმარტავენ, რომ გველმა საკუთარ კუდს იმ შემთხვევაში შეიძლება უკბინოს, როცა ის საკვებით ან სისხლით დაესვრება.

ზოგჯერ ასეთი საქციელის მიზეზი რომელიმე ფსიქიკური დაავადების შედეგი შეიძლება იყოს.



გველებს საკუთარი შხამისადმი იმუნიტეტი აქვთ, ამიტომ ასეთი კბენის შემდეგ არასდროს იღუპებიან.

ეს წესი მთელი სახეობის შიგნით მოქმედებს: თუკი ერთი გველგესლა მეორეს უკბენს, ნაკბენი ქვეწარმავალი უფრო ჭრილობისგან და არა შხამისგან დაიღუპება. მაგრამ თუ მას, ვთქვათ, შავი მამბა უკბენს, სიკვდილი გარდაუვალია.

სხვათა შორის, გველების ეს თვისება — საკუთარი თავის კბენა — ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა შეამჩნიეს. ურობოროსი — რგოლად დახვეული გველი, რომელსაც ხახით საკუთარი კუდი უჭირავს, კაცობრიობისთვის ცნობილი ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა.

## ფისუნია კატაო...

**კატისებრთა ოჯახის ცხოველთა ულვაში — ესაა შეგრძნების ორგანო, რომლითაც ისინი საგნებს დაყნოსვისას, ასევე ჭამისას ეხებიან.**

საქმე ისაა, რომ, ფაქტობრივად, ყველა მტაცებლის, რომლებსაც კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები განეკუთვნებიან, დრუნჩის ქვედა ნაწილი თავისებურ „ბრმა ზონაში“ იმყოფება, რომელიც ცხოველის მხედველობის არეში არ ხვდება. ამდენად მათ იქ მოხვედრილი საგნების დანახვა არ შეუძლიათ. ულვაში კი ამ ნაკლოვანების კომპენსირებას ახდენს და დრუნჩის წინ სივრცის შესწავლის შესაძლებლობას აძლევს.

თუკი კატას ულვაშს შევკრეჭთ, მას, ცხადია, ამით არაფერი დაემართება — არც ყნოსვა დაეკარგება, არც ჯანმრთელობა გაუუარესდება, თუმცა კი, თავს გაცილებით ნაკლებად კომფორტულად იგძნობს, რადგან თავის გარშემო სივრცეზე გაცილებით ნაკლებ ინფორმაციას მიიღებს.

იმის მიუხედავად, რომ ბეწვის მომდევნო გაცვენისა და ახლის ამოსვლასთან ერთად ასეთ „ულვაშგაკრეჭილ“ კატას ისინი მაინც გაეზრდება, ცხოველებზე მსგავსი ექსპერიმენტების ჩატარება მაინც არ ღირს.

## ნაადრევი მართლაც ყველაფერი კარგია?..

**დაკვირვებათა შედეგად მეტად საგულისხმო რამ დადგინდა: თურმე ახალგაზრდულ ასაკში მამობა ნაადრევი სიკვდილის რისკს ზრდის.**

თუკი მამაკაცს პირველი შვილი 22 წლის ასაკამდე შეეძინა, 40-50 წლის ასაკში გარდაცვალების რისკი 26 პროცენტით იზრდება. ვარაუდობენ, რომ ეს იმის გამო ხდება, რომ ნაადრევი მამობა მამაკაცის კარიერულ გეგმებს არღვევს და იძულებულს ხდის, მძიმე სამუშაოს მოჰკიდოს ხელი, რაც შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება.

## მეხსიერების „სადარაჯოზე“

**მკვლევარები აცხადებენ, რომ ნიორი კარგია არა მარტო გაციებისა და გრიპის პროფილაქტიკისთვის.**

აღმოჩნდა, რომ ის ხელს უწყობს მეხსიერების შენარჩუნებასაც, თავის ტვინის უჯრედებს დაზიანებებისგან იცავს, რაც, თავის მხრივ, დიდად მნიშვნელოვანია ღრმა მოხუცებულობამდე ნათელი გონების შენარჩუნებისთვის. 35 წლის ასაკს გადაცილებულებს ექიმები რაციონში აუცილებლად ნივრის შეტანას ურჩევენ.

## დამნაშავეა... ნატრიუმის ქლორიდი

**მკვლევარების აზრი მარილიანი საკვები ქალებს... სექსუალურ მადას უხსნის.**

ქალბატონებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, უმარილო დიეტას იცავენ, სექსი თვეში 2-5-ჯერ აქვთ ხოლმე. იმ ქალებს კი, ვინც მარილიან საკვებს არ ერიდება, სასიყვარულო ურთიერთობები, სექსუალური კონტაქტები გაცილებით ხშირდ აქვთ! ყველაფერი, თურმე, ნატრიუმის ქლორიდის „ბრალი ყოფილა“, რომელიც „ქალურობის ჰორმონის“ გამომუშავებს უწყობს ხელს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ⊙ ანეკდოტები

**მდიდარმა** მოხუცებულმა ახალგაზრდა გოგონას ცოლად მოყვანა გადაწყვიტა და ექიმს სთხოვა, მსურს, ცოლქმრობა ფიქტიური არ იყოსო. ექიმმა გასინჯა და ეუბნება:

— ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

— ექიმო, იქნებ ფუტკრის რძე ვცადო!

— მე შემიძლია ფუტკრის რძე გამოგიწეროთ, შემიძლია ისიც მოგიხერხოთ, რომ ბზუილი დაიწყოთ, მაგრამ ნესტრის ჩასობაზე დიდი ბოდიში.

* * *

**ქმარი** შინ მოვიდა, ცოლს ეუბნება:

— მაგარი ფული შეიძლება ვიშოვოთ, ცირკს სასწრაფოდ ესაჭიროება ნომერი „სქესობრივი ცხოვრება არენაზე“. ცოლმა დაეჭვებით გააქნია თავი.

— კი, მაგრამ, მაყურებელმა ბისზე გამეორება რომ მოგვთხოვოს?

* * *

**მატარებლის** კუპეში სიმპათიური გოგონა ზის მინი ბოლოკაბაში. პირდაპირ მამაკაცი უზის.

— გოგონა, ჩამოიწიეთ კაბა მუხლებზე, თქვენც თბილად იქნებით და მეც აღარ ვიკანკალებ.

* * *

**კახელი** ზოოპარკში გორილას გალიასთან გაშტერებული დგას. უყურა, უყურა კარგა ხანს და ბოლოს ჩუმად ეკითხება:

— ბიჭო, მიტუა არა ხარ შენა?

* * *

**პატარძალი** ეკითხება საქმროს:

— ძვირფასო, ისე გეყვარები, როგორც რომეოს — ჯულიეტა?

— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

— ძვირფასო, ისე იეჭვიანებ ჩემზე, როგორც ოტელო — დეზდემონაზე?



— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

— აბა, რა გაქვს წაკითხული?

— „მუმუ“ — იყეფებ, წყალში დაგახრჩობ.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 13 34; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. №3

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

**ამინდი 16 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე +18, | დღე +26 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE